

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2-3

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში

4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

5

კაპიტალის ცვლილებების ანგარიში

6

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

7

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა	8
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	11
4. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები	18
5. შემოსავალი	18
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18
7. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	19
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	19
9. უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული ზარალი, წმინდა	19
10. ფინანსური ოპერაციების ხარჯი, წმინდა	19
11. მოგების გადასახადი და საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები	20
12. ძირითადი საშუალებები	21
13. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	22
14. ფული და ფულის ექვივალენტები	22
15. გრძელვადიანი სესხები	22
16. კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები	23
17. ფინანსური ინსტრუმენტები	23
18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან და გადასახდელი ნაშთები	26
19. ვალდებულებები და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევები	27
20. აღრიცხვის პერიოდის შემდგომი მოვლენები	28
21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	28

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც რეალურად ასახავს შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე შესრულებული ოპერაციების შედეგებს, კაპიტალში ცვლილებებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგებების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ფარგლებში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 5 აპრილს.

მმართველთა საბჭოს სახელით:

ხელმოწერილია
რუსლან შულდიკი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

ხელმოწერილია
გიორგი ნონიევი
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგის“ პარტნიორებსა და დირექტორთა საბჭოს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგის“ (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, რეალურად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში - *აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (შემდგომში - „პბეკ კოდექსი“) და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია დასკვნის გასაკეთებლად.

ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის შესაბამისად საქმიანობის გაგრძელების უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად კომპანიის ბანკის ლიკვიდაციასა თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს დასკვნას. საფუძვლიანი რწმენა წარმოადგენს მაღალი ხარისხის რწმენას, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს, ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში მივმართავთ პროფესიულ შეფასებებს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიცირებას ვახდენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის განზრახ გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვემდებარებოდეს კომპანიის უნარი, უწყვეტად გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი მოსაზრებით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით საქმიანობა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის სამართლიანად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ხელმოწერილია

შპს „დელოიტი და ტუმის“ სახელით

თამარ ნაცვლიშვილი

2018 წლის 5 აპრილი

თბილისი, საქართველო

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შემოსავალი	5	43,055	35,124
რეალიზებული პროდუქტების თვითღირებულება	6	(31,152)	(25,099)
მთლიანი მოგება		11,903	10,025
სარეალიზაციო და დისტრიბუციის ხარჯები	7	(7,464)	(6,429)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(3,535)	(3,089)
(ზარალი)/ მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე, წმინდა	9	89	(1,452)
ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება, წმინდა	10	(1,443)	(1,198)
სხვა საოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა		(62)	(287)
სხვა არა-საოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა		(347)	48
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე (ხარჯი)/სარგებელი		(859)	(2,382)
მოგების გადასახადის ხარჯი	11	-	(861)
წლის ზარალი		(859)	(3,243)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული ზარალი		(859)	(3,243)

მმართველთა საბჭოს სახელით:

ხელმოწერილია
რუსლან შულდიკი
ადმინისტრაციული დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

ხელმოწერილია
გიორგი ნონიევი
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

8-28 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	12	2,016	2,212
არამატერიალური აქტივები		149	136
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,165	2,348
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	13	8,791	7,729
სხვა მიმდინარე აქტივები		5	9
გადახდილი ავანსები		728	440
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება		368	452
ფული და ფულის ექვივალენტები	14	584	940
სულ მიმდინარე აქტივები		10,476	9,570
სულ აქტივები		12,641	11,918
პარტნიორთა კაპიტალი და ვალდებულებები			
პარტნიორთა კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		2,658	2,658
დაგროვილი ზარალი		(9,007)	(8,148)
სულ აქციონერთა კაპიტალი		(6,349)	(5,490)
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	15	14,349	13,298
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,349	13,298
მიმდინარე ვალდებულებები:			
მიღებული ავანსი		657	493
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	16	3,609	3,441
საგადასახადო დავალიანება, წმინდა	11	256	176
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		119	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,641	4,110
სულ ვალდებულებები		18,990	17,408
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		12,641	11,918

მმართველთა საბჭოს სახელით:

ხელმოწერილია
რუსლან შულდიკი
ადმსარულებელი დირექტორი

ხელმოწერილია
გიორგი ნონიევი
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

2018 წლის 5 აპრილი

8-28 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგ“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	261	(4,905)	(4,644)
სულ სრული ზარალი მოცემული პერიოდისთვის	-	(3,243)	(3,243)
დამატებითი შენატანები კაპიტალში	2,397	-	2,397
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>2,658</u>	<u>(8,148)</u>	<u>(5,490)</u>
სულ სრული ზარალი მოცემული წლისთვის	-	(859)	(859)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>2,658</u>	<u>(9,007)</u>	<u>(6,349)</u>

მმართველთა საბჭოს სახელით:

ხელმოწერილია
რუსლან შულდიკი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

ხელმოწერილია
გიორგი ნონიევი
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

8-28 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტერმინალ ვესტ თრედიინგი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

		2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება გადასახადის შემდგომ		(859)	(3,243)
კორექტირებები:			
მოგების გადასახადის ხარჯი		-	861
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		536	495
წმინდა ფინანსური ხარჯი	10	1,443	1,198
(ზარალი)/ მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე, წმინდა		(189)	1,331
ფულადი სახსრების შემოძინება / (გაძინება) საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		931	642
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანების კლება / (ზრდა)		84	(240)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზრდა		(1,062)	(2,252)
საგადასახადო აქტივების კლება		-	47
გადახდილი ავანსის (ზრდა) / კლება		(288)	738
სხვა მიმდინარე აქტივების კლება / (ზრდა)		4	(9)
მიღებული ავანსის ზრდა		164	411
დებიტორული და სხვა სახის დავალიანების ზრდა		168	1,227
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		80	127
სხვა მიმდინარე ვალდებულებების ზრდა / (კლება)		119	(78)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ნაღდი ფული		200	613
მიღებული პროცენტი		21	22
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		221	635
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(323)	(530)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(30)	-
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	40
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(353)	(490)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი / (დაფარვა)		(185)	300
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(185)	300
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(39)	11
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(356)	456
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	14	940	484
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	14	584	940

მმართველთა საბჭოს სახელით:

ხელმოწერილია
რუსლან შულდიკი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

ხელმოწერილია
გიორგი ნონიფი
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

8-28 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (ი
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა საქართველოში, ქ. თბილისში, 2014 წლის მაისში ერთპიროვნული პარტნიორის ტომას გიჟასის მიერ, ხოლო მოგვიანებით, 2014 წლის ივლისში კომპანიის საკუთრების უფლება გადაეცა „Terminal West B.V.“-ს, ნიდერლანდები. 2017 წლის დეკემბერში კომპანიის საკუთრების უფლება გადაეცა „Terminal West (DIY) Holdings Limited“-ს, კვიპროსი.

კომპანიის ძირითადი მიმართულებაა სამშენებლო - სარემონტო მასალების და საოჯახო სამეურნეო საქონლის საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანია ოპერირებს „დომინო“-ს სავაჭრო ნიშნის ქვეშ. 2015 წლის 23 მაისს შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგმა“ გახსნა მისი პირველი სამშენებლო ჰიპერმარკეტი. ჰიპერმარკეტის მთლიანი ფართი შეადგენს 12,000 კვ.მ.-ს და ის განთავსებულია სავაჭრო ცენტრ „ისტ ფონთის“ ტერიტორიაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორებია:

მთავარი პარტნიორი	საკუთრების წილი	საბოლოო
		მაკონტროლებელი მხარეები
Terminal West (DIY) Holdings Limited	100.00%	ოლეგ პავლოვ

2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ თანხებზე მოქმედი ფასს-ებში შეტანილი შესწორებები

მიმდინარე წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რაც აისახა წინამდებარე ანგარიშგებაში მითითებულ მოცულობებზე:

შესწორება ბასს 7-ში „განმარტების ინიციატივა“

შესწორებები ბასს 7-ში „განმარტების ინიციატივა“

კომპანიამ ეს შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები კომპანიისგან მოითხოვს, ისეთი განმარტებები გააკეთოს წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე, რაც საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, სათანადოდ შეაფასონ ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა როგორც ფულადი, აგრეთვე არაფულადი ცვლილებები.

კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს სხვა ნასესხებ სახსრებს (შენიშვნა 15). აღნიშნული ერთეულების გახსნისა და დახურვის ნაშთებს შორის შეჯერება წარმოდგენილია შენიშვნაში 15.1. შესწორებათა გარდამავალი დებულებების შესაბამისად, კომპანიამ წინა პერიოდის შესადარი ინფორმაცია არ განმარტა. 15.1 შენიშვნაში წარმოდგენილი დამატებითი განმარტების გარდა, შესწორების ამოქმედებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები¹;
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (და დაკავშირებული განმარტებანი)¹;
- ფასს 16 - ოჯარა²;
- ფასს 22 - უცხოური სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება¹;
- ფასს 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება²;
- შესწორებები ფასს 9-ში - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით²;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი².

¹ ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

2. ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით, ხოლო 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში გამოქვეყნდა ფასს 9-ს კიდევ ერთი რედაქცია, რომელშიც მთლიანობაში მოიცავს: ა) ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებს, და 2) მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება და შემოაქვს 'სხვა სრულ შემოსავლებში ასახული რეალური ღირებულების' ცნება გარკვეული მარტივი სავალო ინსტრუმენტების კატეგორიისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული ახალი სტანდარტები რაიმე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15, განსაზღვრავს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს. ძალაში შესვლის შემდეგ, ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18-ს – *შემოსავლები*, ბასს 11-ს – *სამშენებლო კონტრაქტები* და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს შემოსავლის აღიარების 5-ეტაპიან მოდელს:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, პირი შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე 'კონტროლი' კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ფასს 15-ს კიდევ უფრო სპეციფიკური სცენარების დასამუშავებლად. გარდა ამისა, ფასს 15 მოითხოვს კიდევ უფრო ვრცელ განმარტებებს.

2016 წლის აპრილში, საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გაავრცელა ფასს 15-ის *განმარტებები*, რომლებიც შედეგიანობის ვალდებულებების დადგენას, ძირითადი თანხისა და აგენტის ანაზღაურებას, აგრეთვე ლიცენზირების გამოყენების პრინციპებს ეხება.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული ახალი სტანდარტები რაიმე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და როგორც მეიჯარეების, ასევე მოიჯარეების აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ფასს 16 ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს მოიჯარემ (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ვრცელდება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებზე.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ, საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორეს მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც იჯარის გამცემი მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად.

გარდა ამისა, ფასს 16 კომპანიებს ინფორმაციის ჩვენების დამატებით მოთხოვნებსაც უყენებს.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუფასებია ახალი სტანდარტის ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 22 - უცხოური საგალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება

ფაისკ 22 განმარტავს, თუ როგორ უნდა დადგინდეს 'ტრანზაქციის თარიღი' აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას გაცვლითი კურსის დაფიქსირების მიზნით, როდესაც ამ ერთეულის ანაზღაურება იხდება ან მიიღება ავანსად უცხოურ ვალუტაში და ამ ქმედებამ გამოიწვია არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების (მაგალითად, არაანაზღაურებადი დეპოზიტის ან გადავადებული შემოსავლის) აღიარება.

ინტერპრეტაცია აკონკრეტებს, რომ ტრანზაქციის თარიღი არის ის დღე, როდესაც კომპანიამ თავდაპირველად აღიარა არაფულადი აქტივი ან არაფულადი ვალდებულება ავანსის გადახდის ან მიღების შედეგად. ავანსის რამდენიმე ნაწილად გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, ტრანზაქციის თარიღად დაადგინოს ავანსის თითოეული გადახდის ან მიღების დღე.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად. შესწორებაში მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებებიც პროსპექტიული გამოყენების შემთხვევებისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ფაისკ-ის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან კომპანია ამჟამად იყენებს ფაისკ 22-ში მითითებულ მიდგომას.

ფაისკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება

ფაისკ 23 განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია, როდესაც არსებობს მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, რომ მან:

- დაადგინოს, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად ფასდება თუ ჯგუფურად; და
- შეაფასოს, რამდენად სავარაუდოა, საგადასახადო ორგანო დაეთანხმოს კომპანიის მიერ მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან შემოთავაზებული არასარწმუნო საგადასახადო დამუშავების ფორმას:
 - დადებითი პასუხის შემთხვევაში, კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია დაადგინოს მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან ნავარაუდევ ბუღალტრული დამუშავების შესაბამისად.
 - უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, კომპანიამ არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს ბუღალტრული საგადასახადო პოზიციის დადგენაში.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ მთლიანად რეტროსპექტიულად (თუ ეს შესაძლებელია უკანა რიცხვით ცოდნის ეფექტის გარეშე) ან ნაწილობრივ რეტროსპექტიული მიდგომით შედარებითი მონაცემების გადაფასების გარეშე.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან კომპანია ამჟამად იყენებს შესაბამის არასარწმუნო საგადასახადო პოზიციების აღიარების ფაისკ 23-ში მითითებული მიდგომის პრინციპებს.

შესწორებები ფას 9-ში წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით

ეს ფოკუსირებული შესწორებები მიზნად ისახავს იმ დაუგეგმავი შედეგების გამოსწორებას, რაც 'გონივრული დამატებითი ანაზღაურების' ცნების შემოტანამ მოიტანა. შესწორებების მიხედვით, შესაძლებელია, თუ რამდენიმე კონკრეტული კრიტერიუმი დაკმაყოფილდა, ისეთი წინასწარი გადახდის ოფციონის მქონე ფინანსურმა აქტივებმა, რომლის მიხედვით ოფციონის მფლობელმა შეიძლება მიიღოს ანაზღაურება ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, დააკმაყოფილოს 'მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის' პირობა.

გარდა ამისა, სტანდარტების საბჭომ აგრეთვე განიხილა იმ ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის წესი, რომლებიც მოდიფიცირდება ან გაიცვლება მათი ჩამოწერის გარეშე და, შედეგად, შედის ამ საკითხს მიძღვნილ ორ პუნქტში სათაურით 'დასკვნის საფუძველი'. ამ პუნქტებში საბჭო აცხადებს, რომ ამგვარი შემთხვევების ბუღალტრული დამუშავება ისეთივეა, როგორც ფინანსური აქტივის მოდიფიცირების შემთხვევაში. თუ მთლიანი საბალანსო ღირებულება შეიცვალა, ეს დაუყოვნებლივ გამოიწვევს მოგების ან ზარალის ასახვას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შესწორება ძალაში შედის რეტროსპექტიულად 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური ანგარიშგების პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებები იმის მიხედვით, თუ როდის ხდება შესწორებათა თავდაპირველი გამოყენება ფას 9-ის პირველ გამოყენებასთან მიმართებაში.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორების გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

შესაბამისობის განაცხადი - წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ("ზასს"), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა ("ფასს") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ("ფაისკ") მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაში იყო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მომზადების საფუძველი - წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სრული ვალდებულებები აღემატებოდა კომპანიის სრულ აქტივებს 6,349 ათასი ლარით, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 5,490 ათასი ლარით, შესაბამისად. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი კომპანიისგან მიღებულმა სესხებმა შეადგინა 14,349 ათასი ლარი, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 13,298 ათასი ლარი, შესაბამისად.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებულმა ზარალმა შეადგინა 9,007 ათასი ლარი, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 8,148 ათასი ლარი.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მიმდინარე პრინციპის საფუძველზე მიზანშეწონილია, შემდეგ მიზეზთა გამო:

- კომპანიის უარყოფითი წმინდა ვალდებულების პოზიცია ძირითადად გამოწვეული იყო მისი მშობელი კომპანიისგან გრძელვადიანი სესხების აღებით. კომპანია ახდენდა ფულადი სახსრების გამოთხოვას საჭიროებისამებრ 10,000 ათას აშშ დოლარამდე. საკრედიტო ხაზის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2017 წლით დასრულებული პერიოდისთვის, კომპანიამ აითვისა 3,665 ათასი აშშ დოლარი სულ 10,000 ათასი აშშ დოლარის ლიმიტიდან.
- ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ დადებითი საოპერაციო ფულადი მიმოქცევის ტენდენცია შენარჩუნდება, რადგან სამომავლოდ არ არის მოსალოდნელი მსხვილი საოპერაციო ფულადი გადახდები.
- 2017 და 2016 წლების ზარალი უმეტესწილად გამომდინარეობს მშობელი კომპანიიდან მიღებულ სესხებზე არსებული საპროცენტო ხარჯითა და უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული ზარალით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გაყიდვების შემდგომი ზრდის შედეგად კომპანია მოახდენს დადებითი მოგების მიღებას უახლოეს მომავალში პროცენტის და გადასახადების გადახდამდე.
- კომპანიამ მიიღო ფორმალური ვალდებულება მისი მფლობელებისგან, რათა ხელი შეუწყოს საოპერაციო საქმიანობას და ვალდებულებების დაფარვას საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფის გზით.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ განაგრძობდა საქმიანობას, შესწორებები უნდა განხორციელებულიყო აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციასა და საბალანსო ღირებულებაში და დამატებითი ვალდებულებებზე, რომლებიც შესაძლებელია წარმოშობილიყო, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო დარიცხვები. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს რაიმე შესწორებას, რაც შესაძლებელია წარმოშობილიყო აღნიშნული გაურკვევლობის შედეგად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ანგარიშგების წესის საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა ყოველი ანგარიშგების პერიოდის დასასრულს გადაფასებული ან რეალური ღირებულებით შეფასებული გარკვეული ქონებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში.

ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისთვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას, კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში, რაც აღწერილია ქვემოთ:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანია აწარმოებს საკუთარ ბუღალტრულ აღრიცხვას საქართველოში მოქმედი კანონიერი ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

უცხოური ვალუტები – კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. იმ ვალუტებში განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც არ წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას (უცხოური ვალუტები) აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღეს არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველ ანგარიშგების დღეს, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ერთეულების გადაყვანა ხდება ანგარიშგების დღეს არსებულ განაკვეთებში. გაცვლითი კურსის სხვაობით გამოწვეული ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი გათვალისწინებული იქნება შემოსავალ-გასავლის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში მოცემული პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც ასევე კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა.

გაცვლითი კურსები – წლის დასასრულისთვის დაფიქსირებულ სავალუტო გაცვლითი კურსები, რომლებიც გამოიყენა კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, შემდეგია:

	31/12/2017 წ. მდგომარეობით	31/12/2016 წ. მდგომარეობით
1 აშშ დოლარი / ლარი	2.5922	2.6468
1 ევრო / ლარი	3.1044	2.7940

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

შემოსავლის აღიარება – შემოსავალი იზომება მიღებული ან მისაღები შემოსავლის რეალური ღირებულებით. შემოსავლები მცირდება კლიენტების სავარაუდო შემოსავლის, ფასდაკლებისა და სხვა მსგავსი შეღავათების მიზეზით.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება მოხდება შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- კომპანია გადამცემს მყიდველს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს;
- კომპანია არ იტოვებს საკუთრებასთან დაკავშირებული ხელმძღვანელობის უფლებას და არც ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე;
- შემოსავლების ოდენობა შეიძლება შეფასდეს საიმედოდ;
- სავარაუდოა, რომ გარიგებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი გადავა კომპანიაში; და;
- გარიგებასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

იჯარა: ყველა სახის იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იჯარით არებული აქტივიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სქემას სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს. საოპერაციო იჯარიდან წარმოქმნილი პირობითი გადასახდელები ხარჯად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად შეღავათების მიღების შემთხვევაში, ამგვარი შეღავათები აღიარდება ვალდებულებად. შეღავათების მთლიანი სარგებელი წრფივად აღიარდება, როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს იჯარით მიღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების ვადას.

ნასესხები სახსრების ხარჯი – ნასესხები სახსრების ხარჯი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული განსაკუთრებული აქტივების შეძენის, მშენებლობისა და წარმოების პროცესთან, რომელიც წარმოადგენს ისეთ აქტივებს, რომელთაც სჭირდებათ საკმაოდ პერიოდი მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის ან რეალიზაციისთვის მოსამზადებლად, დაემატება აღნიშნული აქტივების ხარჯს იმ დრომდე, სანამ აქტივები არ იქნება მზად დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

საინვესტიციო საქმიანობის შემოსავალი, რომელიც მიიღება კონკრეტული ნასესხები სახსრების დროებითი ინვესტიციიდან და რომლის ხარჯვაც მიმდინარეობს განსაკუთრებულ აქტივებზე, დაიქვითება კაპიტალიზაციას დაქვემდებარებული ნასესხები სახსრებიდან.

ყველა დანარჩენი ნასესხები სახსრების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშში იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი

2017 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კორპორატიული დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. აღნიშნული შეცვლილი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას ნულოვანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით, შედარებული წინა მოდელთან, როდესაც კომპანიის მოგებას გადასახადის გადახდამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ განაწილებოდა. ახალი მოგების გადასახადი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან, რომელიც ასევე ვრცელდება კომპანიაზე და საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც ფაქტობრივი, ასევე ჩათვლილი მოგების განაწილებას შემდეგის ჩათვლით:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადასახადი, რომელიც არ იქნება დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის / მომსახურების ნებაყოფლობით მიწოდება და/ან ფულადი თანხების გადარიცხვა; და
- იმ ხარჯის განცხადება, რომელიც არ აღემატება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე მოგების გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ მომენტისთვის, როდესაც დივიდენდი გამოცხადდება და ჩაიწერება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სათაურის - „მოგების გადასახადი“ ქვეშ. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და მიმდინარე და წინა პერიოდის საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება იმ ოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია ან უნდა იქნას გადახდილი საგადასახადო ორგანოების მიმართ.

განაწილებული მოგების გარდა სხვა სფეროებზე დარიცხული გადასახადი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სათაურის - „გადასახადები და ვალდებულებები“ ქვეშ.

დაბეგვრის შეცვლილი კონცეფციიდან გამომდინარე, ტერმინი აქტივებისა და ვალდებულებების დაბეგვრადი ბაზა კარგავს მის ეკონომიკურ მნიშვნელობას და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები, ბასს-12-ში - მოგების გადასახადი - განსაზღვრული სახით არ გამოიყენება ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელის ფარგლებში.

ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

უმნიშვნელო სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ღირებულება აღიარდება ხარჯად მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი დეტალების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი დეტალი ჩამოიწერება.

გაყიდვიდან მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებით მიღებული შემოსავლების შედარებით და აღიარებულია მოგება-ზარალისა და სხვა საოპერაციო შემოსავლებისა ანგარიშში, სხვა საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯის ფარგლებში.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, აქვს თუ არა ადგილი ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანს. ამგვარი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს აღდგენად თანხას, რომელიც განისაზღვრება აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით ღირებულებას შორის უმაღლესით. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენად თანხამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მოცემული წლისთვის. აქტივზე წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი იცვლება საპირისპირო ნიშნით, თუ ადგილი აქვს აქტივის გამოყენებით ღირებულებას ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული შეფასების ცვლილებას.

ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულების ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში მათი თვითღირებულების ნარჩენ ღირებულებამდე განაწილების მიზნით. აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღება აქტივის გაყიდვიდან შეფასებული გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და იმყოფება სასარგებლო მოხმარების ვადის დასასრულისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადები, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის მეთოდის ვადები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ნებისმიერი სახის ცვლილების განხორციელებით იმ შეფასებაში, რომელიც გათვლილი იქნება სავარაუდო საფუძველზე.

კომპანიის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადებია:

ძირითადი საშუალებების კატეგორია	წლები
მანქანა-დანადგარები	1-10
ავეჯი და საოფისე მოწყობილობები	1-10
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	7
იჯარით აღებული ქომების კეთილმოწყობა	7

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღება აქტივის გაყიდვიდან შეფასებული გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და იმყოფება სასარგებლო მოხმარების ვადის დასასრულისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მოხმარების ვადები გადაიხედება და შესაბამისად კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს.

არამატერიალური აქტივები - ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს პროსპექტიულად აღირიცხული საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილების აღმოჩენის მიზნით. ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განუსაზღვრელი მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის დანაკარგების გამოკლებით. არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება რეალიზაციისას ან იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება მოგება-ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება - ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, კომპანია განიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის

შემთხვევაში, აქტივის ამოღებადი ღირებულება ფასდება გაუფასურების ხარჯის განსაზღვრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების გამომუშავებელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების გამომუშავებელ ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის გამოვლენა შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება არის უმეტესი, ერთი მხრივ, რეალურ ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და, მეორე მხრივ, გამოყენებულ ღირებულებას შორის. გამოყენებული ღირებულების შეფასებისას ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე გადასახადამდე დისკონტირება გადასახადამდე არსებული დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და აქტივისათვის დამახასიათებელ იმ რისკებს, რომელთა საფუძველზე სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირება არ მომხდარა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი აქტივი გადატანილია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ხარჯი დამუშავდება გადაფასების კლების სახით.

გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემთხვევაში, აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება აღდგენითი თანხის შესწორებულ სავარაუდო მოცულობამდე ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა წინა წლებში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) გაუფასურების ხარჯი რომ არ აღიარებულიყო.

გაუფასურების ხარჯების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი აქტივი გადატანილია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ხარჯის გაუქმება დამუშავდება გადაფასების ზრდის სახით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები – სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მითითებულია არსებული ხარჯებიდან ყველაზე მცირე ხარჯისა და შესაძლო რეალიზაციის რეალური ღირებულების არჩევის წესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება განისაზღვრება „ვაიფოს“ ანუ „პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში“ მეთოდის საფუძველზე. წმინდა რეალიზებადი ღირებულება წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების ყველა სავარაუდო ღირებულება და რეალიზაციის სისრულეში მოსაყვანად საჭირო ხარჯები.

რეზერვები - რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და შესაძლებელია საჭირო გახდეს კომპანიის მიერ ვალდებულებების დაფარა და აღნიშნული ვალდებულების შეფასება საკმარისი სიზუსტით.

რეზერვად აღიარებული თანხა წარმოადგენს ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად ფინანსური მდგომარეობის საანგარიშგებო პერიოდისათვის ვალდებულების გარშემო რისკებისა და უზუსტობების არსებობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ფულადი სახსრების მოძრაობიდან, მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას.

იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ყველა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საჭიროებს რეზერვის ფორმირებას, დაიფარება მესამე მხარის მიერ, მოთხოვნები აისახება აქტივებში, თუკი გადახდა ნამდვილად სარწმუნოა და მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

ფინანსური ინსტრუმენტები - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა თუ გამოშვებას (მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) თავდაპირველი აღიარებისას ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული

მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების ყიდვასთან, დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები - ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ სპეციფიურ კატეგორიებად: 'მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული' ფინანსური აქტივები, 'დაფარვის ვადამდე ფლობილი' ინვესტიციები, 'გასაყიდად წარმოდგენილი' ფინანსური აქტივები და 'სესხები და მოთხოვნები'. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ექვივალენტები, დებიტორული და სხვა სახის დავალიანებები და გაცემული სესხები, რომლებიც კლასიფიცირდება სესხებად და მოთხოვნებად.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი - ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას და რომლის საშუალებით საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (მათ შორის ნებისმიერი გადახდილი ან მიღებული საფასურების, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯის ან სხვა პრემიისა თუ დისკონტირების შემადგენელ ნაწილს) გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

ფული და ფულის ექვივალენტები - ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს მცირე ხარჯებს, ბანკებში განთავსებულ ფულს, გადარიცხულ ფულს, ანაზრებსა და ადვილად რეალიზებად ფასიან ქაღალდებს სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადით.

სესხები და მოთხოვნები - სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არა-დერივატიულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (დებიტორული და სხვა სახის დავალიანებების ჩათვლით) გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ფინანსური აქტივების, გარდა მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა, გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოადინებაზე.

ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამომშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან
- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის ან ძირი თანხის გადახდის უუნარობას ან გადახდისთვის თავის არიდებას; ან
- მსესხებლის გაკოტრების ან ფინანსურ რეორგანიზაციის ალბათობას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას შემდგომ პერიოდებში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით, გარდა დებიტორული დავალიანებებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება სარეზერვო ანგარიშის გამოყენებით. როდესაც დებიტორული დავალიანების ამოღების შესაძლებლობა ამოწურულია, იგი ჩამოიწერება სარეზერვო ანგარიშის გამოყენებით. ჩამოწერილი ღირებულების შემდგომი აღდგენა კრედიტად ირიცხება სარეზერვო ანგარიშზე. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგება-ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დანაკარგების თანხის შემცირება აღიარების მომდევნო პერიოდში ობიექტურად შეიძლება დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ მოვლენებს, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების დანაკარგები კორექტირდება მოგება-ზარალში იმ ოდენობით, რომ ინვესტიციების საბალანსო ღირებულებამ

გაუფასურების რეზერვის კორექტირების თარიღისათვის არ გადააჭარბოს იმ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც იქნებოდა გაუფასურების არალიარების შემთხვევაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა - კომპანიის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ კომპანია სხვა საწარმოს გადასცემს ფინანსური აქტივებს და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, მაშინ კომპანია აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური აქტივის მთლიანობაში აღიარების შეწყვეტისას, აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მიღებული და მისაღები ანაზღაურებებისა და სხვა სრულ მოგება-ზარალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მოგების ან ზარალის ჯამს შორის სხვაობა ექვემდებარება აღიარებას მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც კომპანია ინარჩუნებს უფლებას გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი), კომპანია ანაწილებს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტამდე არსებულ საბალანსო ღირებულებას გადაცემისას არსებული შენარჩუნებული წილისა და იმ ნაწილის რეალურ ღირებულებებს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა. აქტივის იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც შეწყდა, გადანაწილებულ საბალანსო ღირებულებასა და ამ ნაწილისთვის მიღებულ მთლიან ანაზღაურებას შორის სხვაობა, სხვა სრული მოგება-ზარალის ანგარიშში ასახული ნებისმიერი დაგროვილი მოგებისა თუ ზარალის გათვალისწინებით, უნდა აღიარდეს მოგება-ზარალში. დაგროვილი მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრული მოგება ზარალის ანგარიშში უნდა გადანაწილდეს აქტივის შენარჩუნებულ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა, მათი რეალური ღირებულებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია სესხის ან კაპიტალის სახით - კომპანიის მიერ გამოშვებული სესხი და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების არსის, ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებიდან გამომდინარე.

წილობრივი ინსტრუმენტები - წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

ფინანსური ვალდებულებები - კომპანიის ფინანსური ვალდებულებები, წარმოადგენილი სესხებისა და ნასესხები სახსრების, კრედიტორული და სხვა დავალიანებების სახით, თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები, შესაბამისად, ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით საპროცენტო ხარჯის აღიარების პარალელურად ეფექტური მოგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას და რომლის საშუალებით საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (მათ შორის ნებისმიერი გადახდილი ან მიღებული საფასურების, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯის ან სხვა პრემიისა თუ დისკონტირების შემადგენელ ნაწილს) გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (სადაც მართებულია), ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა - კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. იმ ფინანსური ვალდებულების, რომლის აღიარება შეწყდება, საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის სხვაობა აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

გადახდილი ავანსები - გადახდილი ავანსები მითითებულია მათი ღირებულებით, გამოკლებული არა-აღდგენითი ღირებულებისთვის გათვალისწინებული შეღავათები.

წილობრივი კაპიტალი - წილობრივი კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შემოწირულობების რეალური ღირებულებით.

4. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანიის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც აღწერილია მე-3 შენიშვნაში, დირექტორები ვალდებული არიან განიხილონ, შეაფასონ და გააკეთონ დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

მოქმედი საწარმო

ხელმძღვანელობამ მოაზრდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაკმაყოფილებას საქმიანობის წარმოების პროცესში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და ასევე გააანალიზა კომპანიის საქმიანობაზე ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის გავლენა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა მსგავს აქტივებზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე ხელმძღვანელობის შეფასების საგანს წარმოადგენს. აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, სავარაუდო ტექნიკურ დაძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და მისი ოპერირების გარემოს. რომელიმე ამ პირობის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები კონსიგნაციისას

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ადგილობრივი მიმწოდებლებისგან შესყიდულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს, რომელთა ღირებულების ანგარიშსწორება არ განხორციელებულა მათ რეალიზაციამდე და რომლებიც შესაძლებელია დაუბრუნდეს მიმწოდებლებს უკუმოთხოვნის უფლების გარეშე, გააჩნია კონსიგნაციური სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მახასიათებლები. შედეგად, ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ ამგვარი სასაქონლო-მატერიალური ინვენტარის აღიარება არ უნდა მოხდეს კომპანიის ჩანაწერებში. კონსიგნაციისას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ბალანსმა შეადგინა 3,642 ათასი ლარი და 3,148 ათასი ლარი 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

5. შემოსავალი

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
რეალიზაცია ფიზიკური პირების მიმართ	39,072	32,800
რეალიზაცია იურიდიული პირების მიმართ	4,547	2,827
სულ რეალიზაცია	43,619	35,627
გამოკლებული: რეალიზაციის დაბრუნებები	(564)	(503)
სულ რეალიზაცია, წმინდა	43,055	35,124

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
სასაქ.-მატ. ფასეულობების ღირებულება	(30,990)	(24,891)
სასაქ.-მატ. ფასეულობების დანაკლისის ღირებულება	(143)	(175)
სასაქ.-მატ. ფასეულობების დანაკარგის ღირებულება	(135)	(94)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(31,268)	(25,160)
გამოკლებული: ფასდაკლება შესყიდვებზე	116	61
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, წმინდა	(31,152)	(25,099)

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

7. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
სახელფასო ხარჯი	(3,216)	(2,701)
საიჯარო ხარჯი	(2,279)	(1,841)
იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი	(727)	(674)
რეკლამის ხარჯი	(604)	(627)
ცვეთის ხარჯი	(482)	(432)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	(49)	(35)
მიწოდების სხვა ხარჯი	(107)	(119)
სულ	(7,464)	(6,429)

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
სახელფასო ხარჯი	(1,948)	(1,749)
საბანკო მოსაკრებლები	(428)	(317)
კომუნალური ხარჯი	(357)	(336)
მივლინებების ხარჯი	(134)	(88)
ოფისის იჯარა	(122)	(127)
დაზღვევის ხარჯი	(109)	(93)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(93)	(106)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(54)	(63)
სხვა	(290)	(210)
სულ	(3,535)	(3,089)

9. უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული ზარალი, წმინდა

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
უცხოურ ვალუტაში გაცვლით მიღებული მოგება	2,652	2,083
უცხოურ ვალუტაში გაცვლით მიღებული ზარალი	(2,563)	(3,535)
სულ	89	(1,452)

10. ფინანსური ოპერაციების ხარჯი, წმინდა

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ფინანსური ოპერაციების შემოსავალი	21	22
ფინანსური ოპერაციების გასავალი	(1,464)	(1,220)
სულ	(1,443)	(1,198)

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

11. მოგების გადასახადი და საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

11.1. მოგების გადასახადის შეთანხმება

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო, ხოლო პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კორპორაციული საგადასახადო კოდექსის ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. კოდექსი ვრცელდება ქართულ კომპანიებსა და არა-რეზიდენტი კომპანიების მუდმივ წარმომადგენლობებზე, გარკვეული საფინანსო ინსტიტუტების გარდა.

წინა მოგების გადასახადის რეჟიმი, რომლის მიხედვითაც კომპანიები წლიური დასაბეგრი მოგების მიხედვით იხდიდნენ გადასახადს, ჩანაცვლდა სისტემით, რომლის მიხედვით გადასახადის გადახდა მოხდება მხოლოდ კორპორაციული მოგების განაწილების შემთხვევაში.

აღნიშნულმა ცვლილებამ მყისიერი ეფექტი იქონია კომპანიების გადავადებულ გადასახადზე, რადგან გაქრა დროებითი სხვაობები გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ საგადასახადო ბაზისებს შორის. საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთი, რომელიც წინა პერიოდებში წარმოშობილ, აღიარებულ დროებით სხვაობებს განეკუთვნებოდა, 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის სრულად იქნა ჩამოწერილი მოგება-ზარალის ანგარიშში.

11.2. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
საგადასახადო აქტივები		
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	129	119
წინასწარ გადახდილი ქონების გადასახადი	-	1
სულ საგადასახადო აქტივები	129	120
საგადასახადო ვალდებულებები		
გადასახდელი მოგების გადასახადი	(54)	(49)
გადასახდელი ქონების გადასახადი	(21)	-
გადასახდელი დღგ	(310)	(247)
სულ საგადასახადო ვალდებულებები	(385)	(296)
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	(256)	(176)

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და საოფისე მოწყობილობ ები	ავტოსატრა ნსპორტო საშუალებე ბი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სხვა
ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,685	218	357	156	20	2,436
ძირითადი საშუალებების ზრდა	122	14	-	394	-	530
რეალიზაცია	(12)	-	(14)	-	(20)	(46)
ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,795	232	343	550	-	2,920
ძირითადი საშუალებების ზრდა	165	18	-	110	30	323
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,960	250	343	660	30	3,243
დაგროვილი ცვეთა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	155	30	34	13	-	232
ხარჯი წლისთვის შემცირება	346	47	45	44	-	482
რეალიზაციის შედეგად	(4)	-	(2)	-	-	(6)
დაგროვილი ცვეთა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	497	77	77	57	-	708
ხარჯი წლისთვის	317	45	43	114	-	519
დაგროვილი ცვეთა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	814	122	120	171	-	1,227
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,298	155	266	493	-	2,212
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,146	128	223	489	30	2,016

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულება, რომელიც სრულად იქნა გაცვეთილი და ჯერ კიდევ გამოიყენება, შეადგენდა დაახლოებით 39 ათასსა და 7 ათასს, შესაბამისად.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

13. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სანიტარული ტექნიკა	1,347	1,110
ბალის მცენარეები	1,092	1,071
ინსტრუმენტები	1,075	648
კარი, სადურგლო ნაკეთობები	1,046	653
ფილები	976	1,296
იატაკი	690	555
ავეჯი	591	320
ელექტროგანათება	437	478
შპალერი / ტექსტილის დეკორაცია	390	559
სამშენებლო მასალები	341	306
საყოფაცხოვრებო საქონელი	286	287
საქონელი გზაში	276	194
სხვა ინვენტარი	244	252
სულ	8,791	7,729

ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულ შემოადნიშნულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან ერთად, კომპანიას ასევე გააჩნდა 3,642 ათასი ლარისა და 3,148 ათასი ლარის ღირებულების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, რაც წარმოდგენილი იყო კონსიგნაციის პირობებში.

14. ფული და ფულის ექვივალენტები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული ბანკში	540	868
ნაღდი ფული სალაროში	44	72
სულ	584	940

15. გრძელვადიანი სესხები

	საპროცენტო განაკვეთი, 2017 წ.			2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
	ვალუტა	დაფარვის ვადა			
არაუზრუნველყოფილი გრძელვადიანი ნასესხები					
სახსრები:					
სესხი „Terminal West B.V.“-სგან	აშშ დოლარი	11%	31/12/2020	-	13,298
სესხი „Terminal West (DIY) Holdings“-სგან	აშშ დოლარი	11%	31/12/2020	14,349	-
სულ გრძელვადიანი სესხები				14,349	13,298

15.1. ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა შეთანხმება

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილზე დეტალურად არის ნაჩვენები ფინანსური საქმიანობიდან კომპანიის ვალდებულებებში განხორციელებული ცვლილებები, ფულადი და არაფულადი ცვლილებების ჩათვლით. ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებთან დაკავშირებითაც ფულადი ნაკადები იყო ან მომავალი ფულადი ნაკადები იქნება კლასიფიცირებული კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები.

არა-ფულადი ცვლილება

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	2017 წლის 1 იანვარი	დინანსური ფულადი ნაკადები (i)	სხვა ცვლილებები (ii)	სავალუტო მოგება	2017 წლის 31 დეკემბერი
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 15)	13,298	(185)	1,464	(228)	14,349
	13,298	(185)	1,464	(228)	14,349

- (i) საბანკო სესხებიდან, დაკავშირებული მხარეებიდან მიღებული სესხებიდან და სხვა ნასესხები სახსრებიდან წარმოდგენილი ფულადი ნაკადები ქმნიან ნასესხები სახსრებიდან და გადახდებიდან მიღებული შემოსავლების წმინდა თანხას ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში
- (ii) სხვა ცვლილებები მოიცავს პროცენტის დარიცხვასა და გადახდებს.

აქციონერთა 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით, „Terminal West B.V.“-ს სრული აქტივები და ვალდებულებები გადაეცა „Terminal West (DIY) Holdings Limited“-ს. არსებული სესხის პირობებში (საპროცენტო განაკვეთი, გამოთვლის მეთოდი და დაფარვის ვადა) არ განხორციელებულა რაიმე ცვლილება.

16. კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები

	2017 წლის დეკემბერი	2016 წლის დეკემბერი
კრედიტორული დავალიანებები ადგილობრივი მიმწოდებლების მიმართ	2,821	2,717
კრედიტორული დავალიანებები უცხოელი მიმწოდებლების მიმართ	788	724
სულ	3,609	3,441

17. ფინანსური ინსტრუმენტები

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება იმ საბაზრო ინფორმაციის გამოყენებით, სადაც ის არსებობს, ასევე შესაბამისი შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა გადაწყვეტილება აუცილებელია სავარაუდო რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობები ფინანსური ბაზრების ბრუნვას გარკვეულწილად ზღუდავს. ზოგჯერ ბაზარზე კოტირებული ფასები მოძველებულია ან ასახავს იძულებითი გაყიდვის ტრანზაქციების მონაცემებს და, შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების წარმოსადგენად არ გამოდგება. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად მის ხელთ არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია გამოიყენა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება ეფუძნება სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. გამოყენებული ფასდაკლების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. დებიტორული დავალიანებების და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მიახლოებითია რეალურ ღირებულებებთან მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები. განცხადებული ვადის მქონე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება შეფასდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიხედვით, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მიახლოებითია მათ რეალურ ღირებულებებთან.

ფულისა და ფულის ექვივალენტების რეალური ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის გაზომვის გამოყენებით და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა მე-3 დონის გაზომვის გამოყენებით.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კაპიტალის რისკის მართვა – კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს კომპანიის ფარგლებში წარმოდგენილი საწარმოების დაშვების პრინციპის საფუძველზე ფუნქციონირების გაგრძელება, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მაქსიმალური გაზაფხადოს აქციონერების უკუგება. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს წმინდა დავალიანებას (ნასესხები სახსრების დაფარვა ნაღდი ფულითა და საბანკო ნაშთებით) და კომპანიის კაპიტალისგან (რომელიც მოიცავს გამოშვებულ კაპიტალს, რეზერვებს და გაუნაწილებელ მოგებას). კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

კაპიტალიზაციის კოეფიციენტი ანგარიშგების პერიოდის დასასრულს შემდეგია:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	14,349	13,298
ფული და ფულის ექვივალენტები	(584)	(940)
წმინდა გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13,765	12,358
კაპიტალი	(6,349)	(5,490)
საკუთარი კაპიტალის მიმართ წმინდა ვალდებულება	(217%)	(225%)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები – კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებში შედის სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას გააჩნია სხვადასხვა ფინანსური აქტივები, როგორიცაა დებიტორული და სხვა დავალიანება და ფული და ფულის ექვივალენტები.

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება	368	452
ფული და ფულის ექვივალენტები	584	940
სხვა ფინანსური აქტივები	952	1,392

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	14,349	13,298
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	3,609	3,441
სულ ფინანსური ვალდებულებები	17,958	16,739

ძირითადი რისკები, რომლებიც წარმოიშობა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებიდან, სავალუტო და ლიკვიდობის რისკებია.

სავალუტო რისკი – სავალუტო რისკი არის რისკი, რომლის დროსაც კომპანიის ფინანსური საქმიანობის შედეგებზე უარყოფით გავლენას ახდენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა, რომელსაც ახორციელებს კომპანია. კომპანია ასრულებს გარკვეულ გარიგებებს უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ სარგებლობს რაიმე წარმოებული აქტივით სავალუტო რისკებზე დაქვემდებარების მართვის მიზნით.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კომპანიის უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგია:

	2017 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი აშშ დოლარი 1 = 2.5922 ლარი	ევრო ევრო 1 = 3.1044 ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	53	15
სულ ფინანსური აქტივები	53	15
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	14,349	-
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები	461	378
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,810	378
სულ წმინდა პოზიცია	(14,757)	(363)

	2016 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი აშშ დოლარი 1 = 2.6468 ლარი	ევრო ევრო 1 = 2.7940 ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	442	7
სულ ფინანსური აქტივები	442	7
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13,298	-
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები	277	447
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,575	447
სულ წმინდა პოზიცია	(13,133)	(440)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილზე ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა კომპანიის ფუნქციონალური ვალუტის გამყარების / შესუსტების მიმართ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში 20%-ით 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩაუტარდა შესაბამის ვალუტებში წარმოდგენილ ფულად საშუალებებს ანგარიშგების თარიღისთვის.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარის კურსის ცვლილების გავლენა		ევროს კურსის ცვლილების გავლენა	
	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) გადასახადის გადახდამდე	(2,951)	2,951	(73)	73

შპს „ტერმინალ ვესტ თრედიინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარის კურსის ცვლილების გავლენა		ევროს კურსის ცვლილების გავლენა	
	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) გადასახადის გადახდამდე	(2,627)	2,627	(88)	88

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვები – მგრძნობიარობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. ამასთანავე, კომპანიის ფინანსური პოზიცია შესაძლებელია იცვლებოდეს იმ დროისთვის, როდესაც ფაქტობრივი საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას. ამის შედეგად დაშვებებში ცვლილებების ფაქტობრივ გავლენას შეიძლება არ ჰქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხება. ასეთ გარემოებებში ვალდებულებებისა და აქტივების განსხვავებულმა შეფასებამ შეიძლება მიგვიყვანოს აქციონერების კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა შეზღუდვები ზემოაღნიშნულ მგრძნობიარობის ანალიზში მოიცავს სავარაუდო საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რომელიც წარმოადგენს კომპანიის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის მსგავსად იმოქმედებს.

ლიკვიდობის რისკი – ლიკვიდობის რისკში იგულისხმება კომპანიის მიერ ვადადამდგარი ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა მის არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით შეთანხმებული დაფარვის ვადებით 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე ყველაზე ადრეულ თარიღზე, როდესაც კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს გადახდა. ცხრილში წარმოდგენილია როგორც პროცენტის, ასევე ძირი თანხის ფულადი ნაკადები. ვინაიდან პროცენტი წარმოადგენს ცვალებად განაკვეთებს, არადისკონტირებული ოდენობა მიღებულია საპროცენტო განაკვეთის მრუდიდან აღრიცხვის პერიოდის დასასრულს.

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი						
არასაპროცენტო	3,609	-	-	-	-	3,609
საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	-	-	-	19,929	-	19,929
	3,609	-	-	19,929	-	23,538
2016 წლის 31 დეკემბერი						
არასაპროცენტო	1,975	358	1,108	-	-	3,441
საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	-	-	-	20,421	-	20,421
	1,975	358	1,108	20,421	-	23,862

18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან და გადასახდელი ნაშთები

დაკავშირებულ მხარეებში შედიან აქციონერები, შვილობილი კომპანიები და ის საწარმოები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან საერთო საკუთრების ან კონტროლის ქვეშ ძირითადი ხელმძღვანელობის წევრებთან.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ გააფორმონ ისეთი გარიგებები, რომელთა გაფორმებაც არ შეუძლიათ არადაკავშირებულ მხარეებს, გარდა ამისა, დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებები არ შეიძლება სისრულეში იქნას მოყვანილი იგივე ვადითა და პირობებით, როგორც არადაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიას ჰქონდა შემდეგი გარიგებები მის დაკავშირებულ მხარეებთან:

2017 წლის 31 დეკემბერი		
აქციონერებთან ასოცირებული პირები და მათ მიერ კონტროლირებადი საწარმოები		
აქციონერები		სულ
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	-	272
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	14,349	-
		272
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		14,349
შემოსავალი	-	174
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯი	-	2,919
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	-	122
		174
		2,919
		122

2016 წლის 31 დეკემბერი		
აქციონერებთან ასოცირებული პირები და მათ მიერ კონტროლირებადი საწარმოები		
აქციონერები		სულ
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	-	1,745
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13,298	-
		1,745
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		13,298
შემოსავალი	-	258
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯი	-	2,472
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	-	127
		258
		2,472
		127

კომპანიის ხელმძღვანელობა შედგებოდა 5 თანამშრომლისგან 2017 და 2016 წლებში, კომპანიის ხელმძღვანელი პერსონალის ანაზღაურება, წარმოდგენილი თანამშრომლის ხანმოკლე სარგებლით, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 573 ათას ლარს, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის - 608 ათას ლარს, შესაბამისად.

19. ვალდებულებები და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევები

ვალდებულებები – კომპანიას არ გააჩნია გადაუხდელი მატერიალური ვალდებულება 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სამართალწარმოება - 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სამართალწარმოებაში. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი, დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ ყოფილა გათვალისწინებული ზარალის რეზერვი.

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია და შესწორება სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შესაძლებელია განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისგან, გარიგებებს შესაძლებელია საფრთხე შეექმნას საგადასახადო ორგანოების მხრიდან და შედეგად კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავი. კომპანიას სჯერა, რომ მან სისრულეში მოიყვანა ყოველგვარი საგადასახადო ანგარიშსწორება და შესაბამისად არავითარი შედავათი არ ყოფილა გათვალისწინებული ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო წლები რჩება ღია საგადასახადო ორგანოების მიერ განსახილველად სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარები - გულისხმობს მაღაზიასა და საოფისე შენობის იჯარებს, რომელთა საიჯარო ვადა იწურება 2025 წლის 18 მაისს. კომპანია არ გეგმავს იჯარით აღებული შენობის შესყიდვას საიჯარო ვადის ამოწურვის შემდგომ.

კომპანიას გააჩნია შემდეგი არა-გაუქმებადი ხასიათის საოპერაციო იჯარის ვალდებულებები:

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
არაუმეტეს 1 წლისა	1,913	1,768
1 წელზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა	7,653	7,072
5 წელზე მეტი	4,711	6,121
სულ	14,277	14,961

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად იცვლება. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთან იყო დაკავშირებული. 2016 და 2017 წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილება მოსალოდნელი საქართველოს მიერ ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

20. აღრიცხვის პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის 29 მარტს შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“ აიღო დამატებითი სესხი მისი მშობელი კომპანიისგან – “Terminal West (DIY) Holding Limited”-სგან 300 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 15%-იანი საპროცენტო განაკვეთით.

ანგარიშგების პერიოდის დასასრულს ადგილი არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც მოითხოვდა ფინანსურ ანგარიშგებაში დაზუსტების შეტანას ან ინფორმაციის გაცემას.

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა დირექტორთა საბჭოს მიერ და დაშვებულ იქნა გამოსაცემად 2018 წლის 5 აპრილს.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-3
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:	
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიში	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	7
ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები:	
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა	8
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	11
4. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები	18
5. შემოსავალი	18
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18
7. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	19
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	19
9. უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული ზარალი, წმინდა	19
10. ფინანსური ოპერაციების ხარჯი, წმინდა	19
11. მოგების გადასახადი და საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები	20
12. ძირითადი საშუალებები	21
13. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	22
14. ფული და ფულის ექვივალენტები	22
15. გრძელვადიანი სესხები	22
16. კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები	23
17. ფინანსური ინსტრუმენტები	23
18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან და გადასახდელი ნაშთები	26
19. ვალდებულებები და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევები	27
20. აღრიცხვის პერიოდის შემდგომი მოვლენები	28
21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	28

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც რეალურად ასახავს შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე შესრულებული ოპერაციების შედეგებს, კაპიტალში ცვლილებებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პოლიტიკის არჩევისა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგებების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ფარგლებში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 5 აპრილს.

მმართველთა საბჭოს სახელით:

ხელმოწერილია
რუსლან შულდიკი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

ხელმოწერილია
გიორგი ნონიევი
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგის“ პარტნიორობსა და დირექტორთა საბჭოს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგის“ (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, რეალურად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში - აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ (შემდგომში - „პბეკ კოდექსი“) და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია დასკვნის გასაკეთებლად.

ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის შესაბამისად საქმიანობის გაგრძელების უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად კომპანიის ბანკის ლიკვიდაციასა თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს დასკვნას. საფუძვლიანი რწმენა წარმოადგენს მაღალი ხარისხის რწმენას, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს, ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში მივმართავთ პროფესიულ შეფასებებს და ვინაჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიცირებას ვახდენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერაუქმების რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერაუქმების რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის განზრახ გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვემდებარებოდეს კომპანიის უნარი, უწყვეტად გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი მოსაზრებით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით საქმიანობა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის სამართლიანად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ხელმოწერილია

შპს „დელიტის“ და ტუშის“ სახელით

თამარ ნაცვლიშვილი

2018 წლის 5 აპრილი

თბილისი, საქართველო

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

		2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შემოსავალი	5	43,055	35,124
რეალიზებული პროდუქტების თვითღირებულება	6	(31,152)	(25,099)
მთლიანი მოგება		11,903	10,025
სარეალიზაციო და დისტრიბუციის ხარჯები	7	(7,464)	(6,429)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(3,535)	(3,089)
(ზარალი)/ მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე, წმინდა	9	89	(1,452)
ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება, წმინდა	10	(1,443)	(1,198)
სხვა საოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა		(62)	(287)
სხვა არა-საოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა		(347)	48
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე (ხარჯი)/სარგებელი		(859)	(2,382)
მოგების გადასახადის ხარჯი	11	-	(861)
წლის ზარალი		(859)	(3,243)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული ზარალი		(859)	(3,243)

მმართველთა საბჭოს სახელით:

ბელმოწერილია
რუსლან შულდიკი
ადმინისტრაციული დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

ბელმოწერილია
გიორგი ნონიევი
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

8-28 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

აქტივები	შენიშვნები	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	12	2,016	2,212
არამატერიალური აქტივები		149	136
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,165	2,348
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	13	8,791	7,729
სხვა მიმდინარე აქტივები		5	9
გადახდილი ავანსები		728	440
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება		368	452
ფული და ფულის ექვივალენტები	14	584	940
სულ მიმდინარე აქტივები		10,476	9,570
სულ აქტივები		12,641	11,918
პარტნიორთა კაპიტალი და ვალდებულებები			
პარტნიორთა კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		2,658	2,658
დაგროვილი ზარალი		(9,007)	(8,148)
სულ აქციონერთა კაპიტალი		(6,349)	(5,490)
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	15	14,349	13,298
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,349	13,298
მიმდინარე ვალდებულებები:			
მიღებული ავანსი		657	493
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	16	3,609	3,441
საგადასახადო დავალიანება, წმინდა	11	256	176
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		119	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,641	4,110
სულ ვალდებულებები		18,990	17,408
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		12,641	11,918
მმართველთა საბჭოს სახელით:			
ხელმოწერილია	ხელმოწერილია		
რუსლან შულდიკი	გიორგი ნონიევი		
აღმასრულებელი დირექტორი	ფინანსური დირექტორი		

2018 წლის 5 აპრილი

2018 წლის 5 აპრილი

8-28 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგ“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	261	(4,905)	(4,644)
სულ სრული ზარალი მოცემული პერიოდისთვის დამატებითი შენატანები კაპიტალში	-	(3,243)	(3,243)
	2,397	-	2,397
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,658	(8,148)	(5,490)
სულ სრული ზარალი მოცემული წლისთვის	-	(859)	(859)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,658	(9,007)	(6,349)

მმართველთა საბჭოს სახელით:

ხელმოწერილია
რუსლან შულდიკი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

ხელმოწერილია
გიორგი ნონიევი
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

8-28 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტერმინალ ვესტ თრედიდინგი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

		2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება გადასახადის შემდგომ		(859)	(3,243)
კორექტირებები:			
მოგების გადასახადის ხარჯი		-	861
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		536	495
წმინდა ფინანსური ხარჯი	10	1,443	1,198
(ზარალი)/ მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე, წმინდა		(189)	1,331
ფულადი სახსრების შემოდინება / (გაძინება) საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		931	642
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანების კლება / (ზრდა)		84	(240)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზრდა		(1,062)	(2,252)
საგადასახადო აქტივების კლება		-	47
გადახდილი ავანსის (ზრდა) / კლება		(288)	738
სხვა მიმდინარე აქტივების კლება / (ზრდა)		4	(9)
მიღებული ავანსის ზრდა		164	411
დებიტორული და სხვა სახის დავალიანების ზრდა		168	1,227
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		80	127
სხვა მიმდინარე ვალდებულებების ზრდა / (კლება)		119	(78)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ნაღდი ფული		200	613
მიღებული პროცენტი		21	22
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		221	635
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(323)	(530)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(30)	-
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	40
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(353)	(490)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი / (დაფარვა)		(185)	300
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(185)	300
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(39)	11
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(356)	456
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	14	940	484
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	14	584	940

მმართველთა საბჭოს სახელით:

ბელმოწერილია
რუსლან შულდიკი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

ბელმოწერილია
გიორგი ნონიევი
ფინანსური დირექტორი

2018 წლის 5 აპრილი

8-28 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ათას ლარში))

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა საქართველოში, ქ. თბილისში, 2014 წლის მაისში ერთპიროვნული პარტნიორის ტომას გიუასის მიერ, ხოლო მოგვიანებით, 2014 წლის ივლისში კომპანიის საკუთრების უფლება გადაეცა „Terminal West B.V.“-ს, ნიდერლანდები. 2017 წლის დეკემბერში კომპანიის საკუთრების უფლება გადაეცა „Terminal West (DIY) Holdings Limited“-ს, კვიპროსი.

კომპანიის ძირითადი მიმართულებაა სამშენებლო - სარემონტო მასალების და საოჯახო სამეურნეო საქონლის საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანია ოპერირებს „დომინო“-ს სავაჭრო ნიშნის ქვეშ. 2015 წლის 23 მაისს შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგმა“ გახსნა მისი პირველი სამშენებლო ჰიპერმარკეტი. ჰიპერმარკეტის მთლიანი ფართი შეადგენს 12,000 კვ.მ.-ს და ის განთავსებულია სავაჭრო ცენტრ „ისტ ფონთის“ ტერიტორიაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორებია:

მთავარი პარტნიორი	საკუთრების წილი	საბოლოო
		მაკონტროლებელი მხარეები
Terminal West (DIY) Holdings Limited	100.00%	ოლეგ პავლოვ

2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა

ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ თანხებზე მოქმედი ფასს-ებში შეტანილი შესწორებები

მიმდინარე წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რაც აისახა წინამდებარე ანგარიშგებაში მითითებულ მოცულობებზე:

შესწორება ბასს 7-ში „განმარტების ინიციატივა“

შესწორებები ბასს 7-ში „განმარტების ინიციატივა“

კომპანიამ ეს შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები კომპანიისგან მოითხოვს, ისეთი განმარტებები გააკეთოს წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე, რაც საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, სათანადოდ შეაფასონ ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა როგორც ფულადი, აგრეთვე არაფულადი ცვლილებები.

კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს სხვა ნასესხებ სახსრებს (შენიშვნა 15). აღნიშნული ერთეულების გახსნისა და დახურვის ნაშთებს შორის შეჯერება წარმოდგენილია შენიშვნაში 15.1. შესწორებათა გარდამავალი დებულებების შესაბამისად, კომპანიამ წინა პერიოდის შესადარი ინფორმაცია არ განმარტა. 15.1 შენიშვნაში წარმოდგენილი დამატებითი განმარტების გარდა, შესწორების ამოქმედებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები;
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (და დაკავშირებული განმარტებანი);
- ფასს 16 - იჯარა;
- ფასს 22 - უცხოური სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება;
- ფასს 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოებები;
- შესწორებები ფასს 9-ში - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი².

1. ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

² ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს. ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით, ხოლო 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში გამოქვეყნდა ფასს 9-ს კიდევ ერთი რედაქცია, რომელშიც მთლიანობაში მოიცავს: ა) ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებს, და 2) მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება და შემოაქვს 'სხვა სრულ შემოსავლებში ასახული რეალური ღირებულების' ცნება გარკვეული მარტივი სავალდებულო ინსტრუმენტების კატეგორიისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული ახალი სტანდარტები რაიმე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15, განსაზღვრავს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს. ძალაში შესვლის შემდეგ, ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18-ს – *შემოსავლები*, ბასს 11-ს – *სამშენებლო კონტრაქტები* და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს შემოსავლის აღიარების 5-ეტაპიან მოდელს:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, პირი შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონლსა თუ მომსახურებაზე 'კონტროლი' კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ფასს 15-ს კიდევ უფრო სპეციფიკური სცენარების დასამუშავებლად. გარდა ამისა, ფასს 15 მოითხოვს კიდევ უფრო ვრცელ განმარტებებს.

2016 წლის აპრილში, საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გაავრცელა ფასს 15-ის *განმარტებები*, რომლებიც შედეგადად ვალდებულებების დადგენას, ძირითადი თანხისა და აგენტის ანაზღაურებას, აგრეთვე ლიცენზირების გამოყენების პრინციპებს ეხება.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული ახალი სტანდარტები რაიმე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და როგორც მეიჯარეების, ასევე მოიჯარეების აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ფასს 16 ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს მოიჯარემ (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ვრცელდება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებზე.

შპს „ტერმინალ ვესტ თრედიინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ, საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორეს მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც იჯარის გამცემი მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად.

გარდა ამისა, ფასს 16 კომპანიებს ინფორმაციის ჩვენების დამატებით მოთხოვნებსაც უყენებს.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუფასებია ახალი სტანდარტის ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 22 - უცხოური სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება

ფაისკ 22 განმარტავს, თუ როგორ უნდა დადგინდეს 'ტრანზაქციის თარიღი' აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას გაცვლითი კურსის დაფიქსირების მიზნით, როდესაც ამ ერთეულის ანაზღაურება იხდება ან მიიღება ავანსად უცხოურ ვალუტაში და ამ ქმედებამ გამოიწვია არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების (მაგალითად, არაანაზღაურებადი დეპოზიტის ან გადავადებული შემოსავლის) აღიარება.

ინტერპრეტაცია აკონკრეტებს, რომ ტრანზაქციის თარიღი არის ის დღე, როდესაც კომპანიამ თავდაპირველად აღიარა არაფულადი აქტივი ან არაფულადი ვალდებულება ავანსის გადახდის ან მიღების შედეგად. ავანსის რამდენიმე ნაწილად გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, ტრანზაქციის თარიღად დაადგინოს ავანსის თითოეული გადახდის ან მიღების დღე.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად. შესწორებაში მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებებიც პროსპექტიული გამოყენების შემთხვევებისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ფაისკ-ის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან კომპანია ამჟამად იყენებს ფაისკ 22-ში მითითებულ მიდგომას.

ფაისკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება

ფაისკ 23 განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია, როდესაც არსებობს მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, რომ მან:

- დაადგინოს, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად ფასდება თუ ჯგუფურად; და
- შეაფასოს, რამდენად სავარაუდოა, საგადასახადო ორგანო დაეთანხმოს კომპანიის მიერ მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან შემოთავაზებული არასარწმუნო საგადასახადო დამუშავების ფორმას;
- დადებითი პასუხის შემთხვევაში, კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია დაადგინოს მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან ნავარაუდევ ბუღალტრული დამუშავების შესაბამისად.
- უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, კომპანიამ არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს ბუღალტრული საგადასახადო პოზიციის დადგენაში.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ მთლიანად რეტროსპექტიულად (თუ ეს შესაძლებელია უკანა რიცხვით ცოდნის ეფექტის გარეშე) ან ნაწილობრივ რეტროსპექტიული მიდგომით შედარებითი მონაცემების გადაფასების გარეშე.

შპს „ტერმინალ ვესტ თრედიინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან კომპანია ამჟამად იყენებს შესაბამის არასარწმუნო საგადასახადო პოზიციების აღიარების ფაისკ 23-ში მითითებული მიდგომის პრინციპებს.

შესწორებები ფასს 9-ში წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით

ეს ფოკუსირებული შესწორებები მიზნად ისახავს იმ დაუგეგმავი შედეგების გამოსწორებას, რაც 'გონივრული დამატებითი ანაზღაურების' ცნების შემოტანამ მოიტანა. შესწორებების მიხედვით, შესაძლებელია, თუ რამდენიმე კონკრეტული კრიტერიუმი დაკმაყოფილდა, ისეთი წინასწარი გადახდის ოფციონის მქონე ფინანსურმა აქტივებმა, რომლის მიხედვით ოფციონის მფლობელმა შეიძლება მიიღოს ანაზღაურება ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, დააკმაყოფილოს 'მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის' პირობა.

გარდა ამისა, სტანდარტების საბჭომ აგრეთვე განიხილა იმ ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის წესი, რომლებიც მოდიფიცირდება ან გაიცვლება მათი ჩამოწერის გარეშე და, შედეგად, შედის ამ საკითხს მიმდევარ ორ პუნქტში სათაურით 'დასკვნის საფუძველი'. ამ პუნქტებში საბჭო აცხადებს, რომ ამგვარი შემთხვევების ბუღალტრული დამუშავება ისეთივეა, როგორც ფინანსური აქტივის მოდიფიცირების შემთხვევაში. თუ მთლიანი საბალანსო ღირებულება შეიცვალა, ეს დაუყოვნებლივ გამოიწვევს მოგების ან ზარალის ასახვას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შესწორება ძალაში შედის რეტროსპექტიულად 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური ანგარიშგების პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებები იმის მიხედვით, თუ როდის ხდება შესწორებათა თავდაპირველი გამოყენება ფასს 9-ის პირველ გამოყენებასთან მიმართებაში.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორების გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

შესაბამისობის განაცხადი - წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ("ბასს"), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა ("ფასს") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ("ფაისკ") მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაში იყო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მომზადების საფუძველი - წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სრული ვალდებულებები აღემატებოდა კომპანიის სრულ აქტივებს 6,349 ათასი ლარით, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 5,490 ათასი ლარით, შესაბამისად. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი კომპანიისგან მიღებულმა სესხებმა შეადგინა 14,349 ათასი ლარი, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 13,298 ათასი ლარი, შესაბამისად.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებულმა ზარალმა შეადგინა 9,007 ათასი ლარი, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 8,148 ათასი ლარი.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მიმდინარე პრინციპის საფუძველზე მიზანშეწონილია, შემდეგ მიზეზთა გამო:

- კომპანიის უარყოფითი წმინდა ვალდებულების პოზიცია ძირითადად გამოწვეული იყო მისი მშობელი კომპანიისგან გრძელვადიანი სესხების აღებით. კომპანია ახდენდა ფულადი სახსრების გამოთხოვას საჭიროებისამებრ 10,000 ათას აშშ დოლარამდე. საკრედიტო ხაზის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2017 წლით დასრულებული პერიოდისთვის, კომპანიამ აითვისა 3,665 ათასი აშშ დოლარი სულ 10,000 ათასი აშშ დოლარის ლიმიტიდან.
- ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ დადებითი საოპერაციო ფულადი მიმოქცევის ტენდენცია შენარჩუნდება, რადგან სამომავლოდ არ არის მოსალოდნელი მსხვილი საოპერაციო ფულადი გადახდები.
- 2017 და 2016 წლების ზარალი უმეტესწილად გამომდინარეობს მშობელი კომპანიიდან მიღებულ სესხებზე არსებული საპროცენტო ხარჯითა და უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული ზარალით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გაყიდვების შემდგომი ზრდის შედეგად კომპანია მოახდენს დადებითი მოგების მიღებას უახლოეს მომავალში პროცენტის და გადასახადების გადახდამდე.
- კომპანიამ მიიღო ფორმალური ვალდებულება მისი მფლობელებისგან, რათა ხელი შეუწყოს საოპერაციო საქმიანობას და ვალდებულებების დაფარვას საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფის გზით.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ განაგრძობდა საქმიანობას, შესწორებები უნდა განხორციელებულიყო აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციასა და საბალანსო ღირებულებებში და დამატებითი ვალდებულებებზე, რომლებიც შესაძლებელია წარმოშობილიყო, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო დარიცხვები. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს რაიმე შესწორებას, რაც შესაძლებელია წარმოშობილიყო აღნიშნული გაურკვევლობის შედეგად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ანგარიშგების წესის საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა ყოველი ანგარიშგების პერიოდის დასასრულს გადაფასებული ან რეალური ღირებულებით შეფასებული გარკვეული ქონებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში.

ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას, კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში, რაც აღწერილია ქვემოთ:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადი მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანია აწარმოებს საკუთარ ბუღალტრულ აღრიცხვას საქართველოში მოქმედი კანონიერი ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

უცხოური ვალუტები – კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. იმ ვალუტებში განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც არ წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას (უცხოური ვალუტები) აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღეს არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველ ანგარიშგების დღეს, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ერთეულების გადაყვანა ხდება ანგარიშგების დღეს არსებულ განაკვეთებში. გაცვლითი კურსის სხვაობით გამოწვეული ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი გათვალისწინებული იქნება შემოსავალ-გასავლის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში მოცემული პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც ასევე კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა.

გაცვლითი კურსები – წლის დასასრულისთვის დაფიქსირებულ სავალუტო გაცვლითი კურსები, რომლებიც გამოიყენა კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, შემდეგია:

	31/12/2017 წ. მდგომარეობით	31/12/2016 წ. მდგომარეობით
1 აშშ დოლარი / ლარი	2.5922	2.6468
1 ევრო / ლარი	3.1044	2.7940

შპს „ტერმინალ ვესტ თრედინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

შემოსავლის აღიარება – შემოსავალი იზომება მიღებული ან მისაღები შემოსავლის რეალური ღირებულებით. შემოსავლები მცირდება კლიენტების სავარაუდო შემოსავლის, ფასდაკლებისა და სხვა მსგავსი შეღავათების მიზეზით.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება მოხდება შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- კომპანიამ გადასცემს მყიდველს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს;
- კომპანია არ იტოვებს საკუთრებასთან დაკავშირებული ხელმძღვანელობის უფლებას და არც ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე;
- შემოსავლების ოდენობა შეიძლება შეფასდეს საიმედოდ;
- სავარაუდოა, რომ გარიგებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი გადავა კომპანიაში; და;
- გარიგებასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

იჯარა: ყველა სახის იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იჯარით არებული აქტივიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სქემას სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს. საოპერაციო იჯარიდან წარმოქმნილი პირობითი გადასახდელები ხარჯად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად შეღავათების მიღების შემთხვევაში, ამგვარი შეღავათები აღიარდება ვალდებულებად. შეღავათების მთლიანი სარგებელი წრფივად აღიარდება, როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს იჯარით მიღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების ვადას.

ნასესხები სახსრების ხარჯი – ნასესხები სახსრების ხარჯი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული განსაკუთრებული აქტივების შეძენის, მშენებლობისა და წარმოების პროცესთან, რომლებიც წარმოადგენენ ისეთ აქტივებს, რომელთაც სჭირდებათ სკირდებათ პერიოდი მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის ან რეალიზაციისთვის მოსამზადებლად, დამატება აღნიშნული აქტივების ხარჯს იმ დრომდე, სანამ აქტივები არ იქნება მზად დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

საინვესტიციო საქმიანობის შემოსავალი, რომელიც მიიღება კონკრეტული ნასესხები სახსრების დროებითი ინვესტიციიდან და რომლის ხარჯცაც მიმდინარეობს განსაკუთრებულ აქტივებზე, დაიქვითება კაპიტალიზაციას დაქვემდებარებული ნასესხები სახსრებიდან.

ყველა დანარჩენი ნასესხები სახსრების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშში იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი

2017 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კორპორატიული დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. აღნიშნული შეცვლილი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას ნულოვანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით, შედარებული წინა მოდელთან, როდესაც კომპანიის მოგებას გადასახადის გადახდამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ განაწილდებოდა. ახალი მოგების გადასახადი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან, რომელიც ასევე ვრცელდება კომპანიაზე და საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც ფაქტობრივი, ასევე ჩათვლილი მოგების განაწილებას შემდეგის ჩათვლით:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადასახადი, რომელიც არ იქნება დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის / მომსახურების ნებაყოფლობით მიწოდება და/ან ფულადი თანხების გადარიცხვა; და
- იმ ხარჯის განცხადება, რომელიც არ აღემატება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე მოგების გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ მომენტისთვის, როდესაც დივიდენდი გამოცხადდება და ჩაიწერება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სათაურის - „მოგების გადასახადი“ ქვეშ. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და მიმდინარე და წინა პერიოდის საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება იმ ოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია ან უნდა იქნას გადახდილი საგადასახადო ორგანოების მიმართ.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

განაწილებული მოგების გარდა სხვა სფეროებზე დარიცხული გადასახადი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სათაურის - „გადასახადები და ვალდებულებები“ ქვეშ.

დაბეგვრის შეცვლილი კონცეფციიდან გამომდინარე, ტერმინი აქტივებისა და ვალდებულებების დაბეგვრადი ბაზა კარგავს მის ეკონომიკურ მნიშვნელობას და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები, ბასს-12-ში - მოგების გადასახადი - განსაზღვრული სახით არ გამოიყენება ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელის ფარგლებში.

ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

უმნიშვნელო სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ღირებულება აღიარდება ხარჯად მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი დეტალების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი დეტალი ჩამოიწერება.

გაცივებიდან მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებით მიღებული შემოსავლების შედარებით და აღიარებულია მოგება-ზარალისა და სხვა საოპერაციო შემოსავლების ანგარიშში, სხვა საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯის ფარგლებში.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, აქვს თუ არა ადგილი ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანს. ამგვარი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს აღდგენად თანხას, რომელიც განისაზღვრება აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით ღირებულებას შორის უმაღლესით. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენად თანხამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მოცემული წლისთვის. აქტივზე წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი იცვლება საპირისპირო ნიშნით, თუ ადგილი აქვს აქტივის გამოყენებით ღირებულებას ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული შეფასების ცვლილებას.

ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულების ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში მათი თვითღირებულების ნარჩენ ღირებულებამდე განაწილების მიზნით. აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან შეფასებული გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და იმყოფება სასარგებლო მოხმარების ვადის დასასრულისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადები, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის მეთოდის ვადები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ნებისმიერი სახის ცვლილების განხორციელებით იმ შეფასებაში, რომელიც გათვლილი იქნება სავარაუდო საფუძველზე.

კომპანიის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადებია:

ძირითადი საშუალებების კატეგორია	წლები
მანქანა-დანადგარები	1-10
ავეჯი და საოფისე მოწყობილობები	1-10
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	7
იჯარით აღებული ქომების კეთილმოწყობა	7

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან შეფასებული გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და იმყოფება სასარგებლო მოხმარების ვადის დასასრულისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მოხმარების ვადები გადაიხედება და შესაბამისად კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს.

არამატერიალური აქტივები - ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს პროსპექტიულად აღირიცხული საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილების აღმოჩენის მიზნით. ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განუსაზღვრელი მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის დანაკარგების გამოკლებით. არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება რეალიზაციისას ან იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება მოგება-ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება - ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, კომპანია განიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

შემთხვევაში, აქტივის ამოღებადი ღირებულება ფასდება გაუფასურების ხარჯის განსაზღვრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების გამომომუშავებელი ერთეულის აღდგენითი ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების გამომომუშავებელ ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის გამოვლენა შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება არის უმეტესი, ერთი მხრივ, რეალურ ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და, მეორე მხრივ, გამოყენებულ ღირებულებას შორის. გამოყენებული ღირებულების შეფასებისას ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე გადასახადამდე დისკონტირება გადასახადამდე არსებული დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების ბაზრისებულ შეფასებას და აქტივისათვის დამახასიათებელ იმ რისკებს, რომელთა საფუძველზე სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირება არ მომხდარა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენითი ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი აქტივი გადატანილია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ხარჯი დამუშავდება გადაფასების კლების სახით.

გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემთხვევაში, აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება აღდგენითი თანხის შესწორებულ სავარაუდო მოცულობამდე ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა წინა წლებში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) გაუფასურების ხარჯი რომ არ აღიარებულიყო.

გაუფასურების ხარჯების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი აქტივი გადატანილია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ხარჯის გაუქმება დამუშავდება გადაფასების ზრდის სახით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები – სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მითითებულია არსებული ხარჯებიდან ყველაზე მცირე ხარჯისა და შესაძლო რეალიზაციის რეალური ღირებულების არჩევის წესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება განისაზღვრება „ფაიფოს“ ანუ „პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში“ მეთოდის საფუძველზე. წმინდა რეალიზებადი ღირებულება წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების ყველა სავარაუდო ღირებულება და რეალიზაციის სისრულეში მოსაყვანად საჭირო ხარჯები.

რეზერვები – რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და შესაძლებელია საჭირო გახდეს კომპანიის მიერ ვალდებულებების დაფარა და აღნიშნული ვალდებულების შეფასება საკმარისი სიზუსტით.

რეზერვად აღიარებული თანხა წარმოადგენს ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად ფინანსური მდგომარეობის საანგარიშგებო პერიოდისათვის ვალდებულების გარშემო რისკებისა და უზუსტობების არსებობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ფულადი სახსრების მოძრაობიდან, მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას.

იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ყველა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საჭიროებს რეზერვის ფორმირებას, დაიფარება მესამე მხარის მიერ, მოთხოვნები აისახება აქტივებში, თუკი გადახდა ნამდვილად სარწმუნოა და მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

ფინანსური ინსტრუმენტები – ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას თუ გამოშვებას (მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) თავდაპირველი აღიარებისას ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული

მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების ყიდვასთან, დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები - ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ სპეციფიურ კატეგორიებად: 'მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული' ფინანსური აქტივები, 'დაფარვის ვადამდე ფლობილი' ინვესტიციები, 'გასაყიდად წარმოდგენილი' ფინანსური აქტივები და 'სესხები და მოთხოვნები'. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ექვივალენტები, დებიტორული და სხვა სახის დავალიანებები და გაცემული სესხები, რომლებიც კლასიფიცირდება სესხებად და მოთხოვნებად.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი - ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას და რომლის საშუალებით საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (მათ შორის ნებისმიერი გადახდილი ან მიღებული საფასურების, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯის ან სხვა პრემიისა თუ დისკონტირების შემადგენელ ნაწილს) გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

ფული და ფულის ექვივალენტები - ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს მცირე ხარჯებს, ბანკებში განთავსებულ ფულს, გადარიცხულ ფულს, ანაბრებსა და ადვილად რეალიზებად ფასიან ქაღალდებს სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადით.

სესხები და მოთხოვნები - სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არა-დერივატიულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (დებიტორული და სხვა სახის დავალიანებების ჩათვლით) გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ფინანსური აქტივების, გარდა მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა, გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამოშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან
- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის ან ძირითადის გადახდის უუნარობას ან გადახდისთვის თავის არიდებას; ან
- მსესხებლის გაკოტრების ან ფინანსურ რეორგანიზაციის ალბათობას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას შემდგომ პერიოდებში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით, გარდა დებიტორული დავალიანებებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება სარეზერვო ანგარიშის გამოყენებით. როდესაც დებიტორული დავალიანების ამოღების შესაძლებლობა ამოწურულია, იგი ჩამოიწერება სარეზერვო ანგარიშის გამოყენებით. ჩამოწერილი ღირებულების შემდგომი აღდგენა კრედიტად ირიცხება სარეზერვო ანგარიშზე. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგება-ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დანაკარგების თანხის შემცირება აღიარების მომდევნო პერიოდში ობიექტურად შეიძლება დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ მოვლენებს, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების დანაკარგები კორექტირდება მოგება-ზარალში. იმ ოდენობით, რომ ინვესტიციების საბალანსო ღირებულებამ

შპს „ტერმინალ ვესტ თრედიინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

გაუფასურების რეზერვის კორექტირების თარიღისათვის არ გადააჭარბოს იმ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც იქნებოდა გაუფასურების არალიარების შემთხვევაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა - კომპანიის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ კომპანია სხვა საწარმოს გადასცემს ფინანსური აქტივებს და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს; მაშინ კომპანია აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური აქტივის მთლიანობაში აღიარების შეწყვეტისას, აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მიღებული და მისაღები ანაზღაურებებისა და სხვა სრულ მოგება-ზარალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მოგების ან ზარალის ჯამს შორის სხვაობა ექვემდებარება აღიარებას მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც კომპანია ინარჩუნებს უფლებას გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი), კომპანია ანაწილებს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტამდე არსებულ საბალანსო ღირებულებას გადაცემისას არსებული შენარჩუნებული წილისა და იმ ნაწილის რეალურ ღირებულებებს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა. აქტივის იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც შეწყდა, გადანაწილებულ საბალანსო ღირებულებასა და ამ ნაწილისთვის მიღებულ მთლიან ანაზღაურებას შორის სხვაობა, სხვა სრული მოგება-ზარალის ანგარიშში ასახული ნებისმიერი დაგროვილი მოგებისა თუ ზარალის გათვალისწინებით, უნდა აღიარდეს მოგება-ზარალში. დაგროვილი მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრული მოგება ზარალის ანგარიშში უნდა გადანაწილდეს აქტივის შენარჩუნებულ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა, მათი რეალური ღირებულებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია სესხის ან კაპიტალის სახით - კომპანიის მიერ გამოშვებული სესხი და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების არსის, ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებიდან გამომდინარე.

წილობრივი ინსტრუმენტები - წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვეყნების შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

ფინანსური ვალდებულებები - კომპანიის ფინანსური ვალდებულებები, წარმოდგენილი სესხებისა და ნასესხები სახსრების, კრედიტორული და სხვა დავალიანებების სახით, თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები, შესაბამისად, ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით საპროცენტო ხარჯის აღიარების პარალელურად ეფექტური მოგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას და რომლის საშუალებით საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (მათ შორის ნებისმიერი გადახდილი ან მიღებული საფასურების, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯის ან სხვა პრემიისა თუ დისკონტირების შემადგენელ ნაწილს) გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (სადაც მართებულია), ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა - კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. იმ ფინანსური ვალდებულების, რომლის აღიარება შეწყდება, საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის სხვაობა აისახება მოგებასა და ზარალში.

შპს „ტერმინალ ვესტ თრედიინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

გადახდილი ავანსები - გადახდილი ავანსები მითითებულია მათი ღირებულებით, გამოკლებული არა-აღდგენითი ღირებულებებისთვის გათვალისწინებული შეღავათებით.

წილობრივი კაპიტალი - წილობრივი კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შემოწირულობების რეალური ღირებულებით.

4. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანიის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც აღწერილია მე-3 შენიშვნაში, ღირებულებები ვალდებული არიან განიხილონ, შეაფასონ და გააკეთონ დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

მოქმედი საწარმო

ხელმძღვანელობამ მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაკმაყოფილებას საქმიანობის წარმოების პროცესში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და ასევე გააანალიზა კომპანიის საქმიანობაზე ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის გავლენა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა მსგავს აქტივებზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე ხელმძღვანელობის შეფასების საგანს წარმოადგენს. აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, საფარაუდო ტექნიკურ დამკველბას, ფიზიკურ ცვეთას და მისი ოპერირების გარემოს. რომელიმე ამ პირობის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები კონსიგნაციისას

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ადგილობრივი მიმწოდებლებისგან შესყიდულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს, რომელთა ღირებულების ანგარიშსწორება არ განხორციელებულა მათ რეალიზაციამდე და რომლებიც შესაძლებელია დაუბრუნდეს მიმწოდებლებს უკუმოთხოვნის უფლების გარეშე, გააჩნია კონსიგნაციური სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მახასიათებლები. შედეგად, ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ ამგვარი სასაქონლო-მატერიალური ინვენტარის აღიარება არ უნდა მოხდეს კომპანიის ჩანაწერებში. კონსიგნაციისას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ბალანსმა შეადგინა 3,642 ათასი ლარი და 3,148 ათასი ლარი 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

5. შემოსავალი

რეალიზაცია ფიზიკური პირების მიმართ
რეალიზაცია იურიდიული პირების მიმართ
სულ რეალიზაცია
გამოკლებული: რეალიზაციის დაბრუნებები
სულ რეალიზაცია, წმინდა

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
39,072	32,800
4,547	2,827
43,619	35,627
(564)	(503)
43,055	35,124

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

სასაქ.-მატ. ფასეულობების ღირებულება
სასაქ.-მატ. ფასეულობების დანაკლისის ღირებულება
სასაქ.-მატ. ფასეულობების დანაკარგის ღირებულება
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
(30,990)	(24,891)
(143)	(175)
(135)	(94)
(31,268)	(25,160)
116	61
(31,152)	(25,099)

გამოკლებული: ფასდაკლება შესყიდვებზე

სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, წმინდა

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

7. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
სახელფასო ხარჯი	(3,216)	(2,701)
საიჯარო ხარჯი	(2,279)	(1,841)
იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი	(727)	(674)
რეკლამის ხარჯი	(604)	(627)
ცვეთის ხარჯი	(482)	(432)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	(49)	(35)
მიწოდების სხვა ხარჯი	(107)	(119)
სულ	(7,464)	(6,429)

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
სახელფასო ხარჯი	(1,948)	(1,749)
საბანკო მოსაკრებლები	(428)	(317)
კომუნალური ხარჯი	(357)	(336)
მივლინებების ხარჯი	(134)	(88)
ოფისის იჯარა	(122)	(127)
დაზღვევის ხარჯი	(109)	(93)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(93)	(106)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(54)	(63)
სხვა	(290)	(210)
სულ	(3,535)	(3,089)

9. უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული ზარალი, წმინდა

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
უცხოურ ვალუტაში გაცვლით მიღებული მოგება	2,652	2,083
უცხოურ ვალუტაში გაცვლით მიღებული ზარალი	(2,563)	(3,535)
სულ	89	(1,452)

10. ფინანსური ოპერაციების ხარჯი, წმინდა

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ფინანსური ოპერაციების შემოსავალი	21	22
ფინანსური ოპერაციების გასაცავალი	(1,464)	(1,220)
სულ	(1,443)	(1,198)

11. მოგების გადასახადი და საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

11.1. მოგების გადასახადის შეთანხმება

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო, ხოლო პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კორპორაციული საგადასახადო კოდექსის ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. კოდექსი ვრცელდება ქართულ კომპანიებსა და არა-რეზიდენტი კომპანიების მუდმივ წარმომადგენლობებზე, გარკვეული საფინანსო ინსტიტუტების გარდა.

წინა მოგების გადასახადის რეჟიმი, რომლის მიხედვითაც კომპანიები წლიური დასაბეგრი მოგების მიხედვით იხდიდნენ გადასახადს, ჩანაცვლდა სისტემით, რომლის მიხედვით გადასახადის გადახდა მოხდება მხოლოდ კორპორაციული მოგების განაწილების შემთხვევაში.

აღნიშნულმა ცვლილებამ მყისიერი ეფექტი იქონია კომპანიების გადავადებულ გადასახადზე, რადგან გაქრა დროებითი სხვაობები გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ საგადასახადო ბაზისებს შორის. საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთი, რომელიც წინა პერიოდებში წარმოშობილ, აღიარებულ დროებით სხვაობებს განეკუთვნებოდა, 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის სრულად იქნა ჩამოწერილი მოგება-ზარალის ანგარიშში.

11.2. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
საგადასახადო აქტივები		
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	129	119
წინასწარ გადახდილი ქონების გადასახადი	-	1
სულ საგადასახადო აქტივები	129	120
საგადასახადო ვალდებულებები		
გადასახდელი მოგების გადასახადი	(54)	(49)
გადასახდელი ქონების გადასახადი	(21)	-
გადასახდელი დღგ	(310)	(247)
სულ საგადასახადო ვალდებულებები	(385)	(296)
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	(256)	(176)

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ავტო და საოფისე მოწყობილობ ები	ავტოსატრა ნსპორტო საშუალებე ბი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სხვა
ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის						
მდგომარეობით	1,685	218	357	156	20	2,436
ძირითადი საშუალებების ზრდა	122	14	-	394	-	530
რეალიზაცია	(12)	-	(14)	-	(20)	(46)
ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის	1,795	232	343	550	-	2,920
მდგომარეობით						
ძირითადი საშუალებების ზრდა	165	18	-	110	30	323
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის	1,960	250	343	660	30	3,243
მდგომარეობით						
დაგროვილი ცვეთა 2016 წლის 1 იანვრის	155	30	34	13	-	232
მდგომარეობით						
ხარჯი წლისთვის	346	47	45	44	-	482
შემცირება	(4)	-	(2)	-	-	(6)
რეალიზაციის შედეგად						
დაგროვილი ცვეთა 2016 წლის 31 დეკემბრის	497	77	77	57	-	708
მდგომარეობით						
ხარჯი წლისთვის	317	45	43	114	-	519
დაგროვილი ცვეთა 2017 წლის 31 დეკემბრის	814	122	120	171	-	1,227
მდგომარეობით						
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის	1,298	155	266	493	-	2,212
მდგომარეობით						
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის	1,146	128	223	489	30	2,016
მდგომარეობით						

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულება, რომელიც სრულად იქნა გაცვეთილი და ჯერ კიდევ გამოიყენება, შეადგენდა დაახლოებით 39 ათასსა და 7 ათასს, შესაბამისად.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

13. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სანიტარული ტექნიკა		
ბალის მცენარეები	1,347	1,110
ინსტრუმენტები	1,092	1,071
კარი, სადურგლო ნაკეთობები	1,075	648
ფილები	1,046	653
იატაკი	976	1,296
ავეჯი	690	555
ელექტროგანათება	591	320
შპალერი / ტექსტილის დეკორაცია	437	478
სამშენებლო მასალები	390	559
საყოფაცხოვრებო საქონელი	341	306
საქონელი გზაში	286	287
სხვა ინვენტარი	276	194
	244	252
სულ	8,791	7,729

ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულ ზემოაღნიშნულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან ერთად, კომპანიას ასევე გააჩნდა 3,642 ათასი ლარისა და 3,148 ათასი ლარის ღირებულების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, რაც წარმოდგენილი იყო კონსიგნაციის პირობებში.

14. ფული და ფულის ექვივალენტები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული ბანკში		
ნაღდი ფული სალაროში	540	868
	44	72
სულ	584	940

15. გრძელვადიანი სესხები

	საპროცენტო განაკვეთი, 2017 წ.	დაფარვის ვადა	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
არაუზრუნველყოფილი გრძელვადიანი ნასესხები სახსრები:	ვალუტა			
სესხი „Terminal West B.V.“-სგან	აშშ დოლარი	11%	31/12/2020	-
სესხი „Terminal West (DIY) Holdings“-სგან	აშშ დოლარი	11%	31/12/2020	13,298
			14,349	-
სულ გრძელვადიანი სესხები			14,349	13,298

15.1. ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა შეთანხმება

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილზე დეტალურად არის ნაჩვენები ფინანსური საქმიანობიდან კომპანიის ვალდებულებებში განხორციელებული ცვლილებები, ფულადი და არაფულადი ცვლილებების ჩათვლით. ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებთან დაკავშირებითაც ფულადი ნაკადები იყო ან მომავალი ფულადი ნაკადები იქნება კლასიფიცირებული კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები.

არა-ფულადი ცვლილება

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

ნასესხები სახსრები (შენიშვნა 15)	2017 წლის 1 იანვარი	დინასური ფულადი ნაკადები (i)	სხვა ცვლილებები (ii)	სავალუტო მოგება	2017 წლის 31 დეკემბერი
	13,298	(185)	1,464	(228)	14,349
	<u>13,298</u>	<u>(185)</u>	<u>1,464</u>	<u>(228)</u>	<u>14,349</u>

(i) საბანკო სესხებიდან, დაკავშირებული მხარეებიდან მიღებული სესხებიდან და სხვა ნასესხები სახსრებიდან წარმოდგენილი ფულადი ნაკადები ქმნიან ნასესხები სახსრებიდან და გადახდებიდან მიღებული შემოსავლების წმინდა თანხას ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში

(ii) სხვა ცვლილებები მოიცავს პროცენტის დარიცხვასა და გადახდებს.

აქციონერთა 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით, „Terminal West B.V.“-ს სრული აქტივები და ვალდებულებები გადაეცა „Terminal West (DIY) Holdings Limited“-ს. არსებული სესხის პირობებში (საპროცენტო განაკვეთი, გამოთვლის მეთოდი და დაფარვის ვადა) არ განხორციელებულა რაიმე ცვლილება.

16. კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები

	2017 წლის დეკემბერი	2016 წლის დეკემბერი
კრედიტორული დავალიანებები ადგილობრივი მიმწოდებლების მიმართ	2,821	2,717
კრედიტორული დავალიანებები უცხოელი მიმწოდებლების მიმართ	788	724
სულ	<u>3,609</u>	<u>3,441</u>

17. ფინანსური ინსტრუმენტები

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება იმ საბაზრო ინფორმაციის გამოყენებით, სადაც ის არსებობს, ასევე შესაბამისი შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა გადაწყვეტილება აუცილებელია სავარაუდო რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობები ფინანსური ბაზრების ბრუნვას გარკვეულწილად ზღუდავს. ზოგჯერ ბაზარზე კოტირებული ფასები მოძველებულია ან ასახავს იმულებითი გაყიდვის ტრანზაქციების მონაცემებს და, შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების წარმოსადგენად არ გამოდგება. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად მის ხელთ არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია გამოიყენა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება ეფუძნება სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. გამოყენებული ფასდაკლების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. დებიტორული დავალიანებების და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მიახლოებითაა რეალურ ღირებულებებთან მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები. განცხადებული ვადის მქონე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება შეფასდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიხედვით, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მიახლოებითაა მათ რეალურ ღირებულებებთან.

ფულისა და ფულის ექვივალენტების რეალური ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის გაზომვის გამოყენებით და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა მე-3 დონის გაზომვის გამოყენებით.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კაპიტალის რისკის მართვა – კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შემლოს კომპანიის ფარგლებში წარმოდგენილი საწარმოების დაშვების პრინციპის საფუძველზე ფუნქციონირების გაგრძელება, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მაქსიმალური გახადოს აქციონერების უკუგება. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს წმინდა დავალიანებას (ნასესხები სახსრების დაფარვა ნაღდი ფულითა და საბანკო ნაშთებით) და კომპანიის კაპიტალისგან (რომელიც მოიცავს გამოშვებულ კაპიტალს, რეზერვებს და გაუნაწილებელ მოგებას). კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

კაპიტალიზაციის კოეფიციენტი ანგარიშგების პერიოდის დასასრულს შემდეგია:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	14,349	13,298
ფული და ფულის ექვივალენტები	(584)	(940)
წმინდა გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13,765	12,358
კაპიტალი	(6,349)	(5,490)
საკუთარი კაპიტალის მიმართ წმინდა ვალდებულება	(217%)	(225%)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები – კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებში შედის სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას გააჩნია სხვადასხვა ფინანსური აქტივები, როგორიცაა დებიტორული და სხვა დავალიანება და ფული და ფულის ექვივალენტები.

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება	368	452
ფული და ფულის ექვივალენტები	584	940
სხვა ფინანსური აქტივები	952	1,392

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	14,349	13,298
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	3,609	3,441
სულ ფინანსური ვალდებულებები	17,958	16,739

ძირითადი რისკები, რომლებიც წარმოიშობა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებიდან, სავალუტო და ლიკვიდობის რისკებია.

სავალუტო რისკი – სავალუტო რისკი არის რისკი, რომლის დროსაც კომპანიის ფინანსური საქმიანობის შედეგებზე უარყოფით გავლენას ახდენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა, რომელსაც ახორციელებს კომპანია. კომპანია ასრულებს გარკვეულ გარიგებებს უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ სარგებლობს რაიმე წარმოებული აქტივით სავალუტო რისკებზე დაქვემდებარების მართვის მიზნით.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კომპანიის უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგია:

	2017 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი აშშ დოლარი 1 = 2.5922 ლარი	ევრო ევრო 1 = 3.1044 ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	53	15
სულ ფინანსური აქტივები	53	15
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	14,349	-
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები	461	378
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,810	378
სულ წმინდა პოზიცია	(14,757)	(363)

	2016 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი აშშ დოლარი 1 = 2.6468 ლარი	ევრო ევრო 1 = 2.7940 ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	442	7
სულ ფინანსური აქტივები	442	7
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13,298	-
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები	277	447
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,575	447
სულ წმინდა პოზიცია	(13,133)	(440)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილზე ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა კომპანიის ფუნქციონალური ვალუტის გამყარების / შესუსტების მიმართ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში 20%-ით 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა შესაბამის ვალუტებში წარმოდგენილ ფულად საშუალებებს ანგარიშგების თარიღისთვის.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარის კურსის ცვლილების გავლენა		ევროს კურსის ცვლილების გავლენა	
	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) გადასახადის გადახდამდე	(2,951)	2,951	(73)	73

შპს „ტერმინალ ვესტ თრედიინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მოგება/(ზარალი) გადასახადის გადახდამდე	აშშ დოლარის კურსის ცვლილების გავლენა		ევროს კურსის ცვლილების გავლენა	
	აშშ დოლარი/ლარი	აშშ დოლარი/ლარი	ევრო/ლარი	ევრო/ლარი
	+ 20%	- 20%	+ 20%	- 20%
	(2,627)	2,627	(88)	88

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვები – მგრძნობიარობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. ამასთანავე, კომპანიის ფინანსური პოზიცია შესაძლებელია იცვლებოდეს იმ დროისთვის, როდესაც ფაქტობრივი საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას. ამის შედეგად დაშვებებში ცვლილებების ფაქტობრივ გავლენას შეიძლება არ ჰქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხება. ასეთ გარემოებებში ვალდებულებებისა და აქტივების განსხვავებულმა შეფასებამ შეიძლება მიგვიყვანოს აქციონერების კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა შეზღუდვები ზემოაღნიშნულ მგრძნობიარობის ანალიზში მოიცავს სავარაუდო საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რომელიც წარმოადგენს კომპანიის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის მსგავსად იმოქმედებს.

ლიკვიდობის რისკი – ლიკვიდობის რისკში იგულისხმება კომპანიის მიერ ვადადამდგარი ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა მის არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით შეთანხმებული დაფარვის ვადებით 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე ყველაზე ადრეულ თარიღზე, როდესაც კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს გადახდა. ცხრილში წარმოდგენილია როგორც პროცენტის, ასევე ძირითადი თანხის ფულადი ნაკადები. ვინაიდან პროცენტი წარმოადგენს ცვალებად განაკვეთებს, არადისკონტირებული ოდენობა მიღებულია საპროცენტო განაკვეთის მრუდიდან აღრიცხვის პერიოდის დასასრულს.

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი						
არასაპროცენტო საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	3,609	-	-	-	-	3,609
	-	-	-	19,929	-	19,929
	3,609	-	-	19,929	-	23,538
2016 წლის 31 დეკემბერი						
არასაპროცენტო საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	1,975	358	1,108	-	-	3,441
	-	-	-	20,421	-	20,421
	1,975	358	1,108	20,421	-	23,862

18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან და გადასახდელი ნაშთები

დაკავშირებულ მხარეებში შედიან აქციონერები, შვილობილი კომპანიები და ის საწარმოები, რომლებიც წარმოდგენილი არიან საერთო საკუთრების ან კონტროლის ქვეშ ძირითადი ხელმძღვანელობის წევრებთან.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ გააფორმონ ისეთი გარიგებები, რომელთა გაფორმებაც არ შეუძლიათ არადაკავშირებულ მხარეებს, გარდა ამისა, დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებები არ შეიძლება სისრულეში იქნას მოყვანილი იგივე ვადითა და პირობებით, როგორც არადაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიას ჰქონდა შემდეგი გარიგებები მის დაკავშირებულ მხარეებთან:

	2017 წლის 31 დეკემბერი		
	აქციონერები	აქციონერებთან ასოცირებული პირები და მათ მიერ კონტროლირებადი საწარმოები	სულ
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	-	272	272
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	14,349	-	14,349
შემოსავალი	-	174	174
რელიზაციის და დისტრიბუციის ხარჯი	-	2,919	2,919
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	-	122	122

	2016 წლის 31 დეკემბერი		
	აქციონერები	აქციონერებთან ასოცირებული პირები და მათ მიერ კონტროლირებადი საწარმოები	სულ
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	-	1,745	1,745
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13,298	-	13,298
შემოსავალი	-	258	258
რელიზაციის და დისტრიბუციის ხარჯი	-	2,472	2,472
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	-	127	127

კომპანიის ხელმძღვანელობა შედგებოდა 5 თანამშრომლისგან 2017 და 2016 წლებში, კომპანიის ხელმძღვანელი პერსონალის ანაზღაურება, წარმოდგენილი თანამშრომლის ხანმოკლე სარგებლით, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 573 ათას ლარს, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის - 608 ათას ლარს, შესაბამისად.

19. ვალდებულებები და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევები

ვალდებულებები – კომპანიას არ გააჩნია გადაუხდელი მატერიალური ვალდებულება 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სამართალწარმოება - 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სამართალწარმოებაში. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი, დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ ყოფილა გათვალისწინებული ზარალის რეზერვი.

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია და შესწორება სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შესაძლებელია განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისგან, გარიგებებს შესაძლებელია საფრთხე შეექმნას საგადასახადო ორგანოების მხრიდან და შედეგად კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავი. კომპანიას სჯერა, რომ მან სისრულეში მოიყვანა ყოველგვარი საგადასახადო ანგარიშსწორება და შესაბამისად არავითარი შედეგით არ ყოფილა გათვალისწინებული ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო წლები რჩება ღიად საგადასახადო ორგანოების მიერ განსახილველად სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარები - გულისხმობს მაღაზიასა და საოფისე შენობის იჯარებს, რომელთა საიჯარო ვადა იწურება 2025 წლის 18 მაისს. კომპანია არ გეგმავს იჯარით აღებული შენობის შესყიდვას საიჯარო ვადის ამოწურვის შემდგომ.

კომპანიას გააჩნია შემდეგი არა-გაუქმებადი ხასიათის საოპერაციო იჯარის ვალდებულებები:

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
არაუმეტეს 1 წლისა	1,913	1,768
1 წელზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა	7,653	7,072
5 წელზე მეტი	4,711	6,121
სულ	14,277	14,961

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად იცვლება. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთან იყო დაკავშირებული. 2016 და 2017 წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილება მოსალოდნელი საქართველოს მიერ ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

20. აღრიცხვის პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის 29 მარტს შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგმა“ აიღო დამატებითი სესხი მისი მშობელი კომპანიისგან - “Terminal West (DIY) Holding Limited”-სგან 300 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 15%-იანი საპროცენტო განაკვეთით.

ანგარიშგების პერიოდის დასასრულს ადგილი არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც მოითხოვდა ფინანსურ ანგარიშგებაში დაზუსტების შეტანას ან ინფორმაციის გაცემას.

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა დირექტორთა საბჭოს მიერ და დაშვებულ იქნა გამოსაცემად 2018 წლის 5 აპრილს.

თარგმანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე სწორია.

მთარგმნელი: ეთერ ნოზაძე

Handwritten signature



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N181201763



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

28.09.2018 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ელენე მერგელ

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

995322745001

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

66324246985418




მე, ნოტარიუსი ელენე მერგელ, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #22/4, ვადასტურებ დიპლომირებული მთარგმნელის ეთერ ნოზაძის (დაბადებული 12.12.1983, ქ. ხაშური, რეგისტრირებული: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. #26, ბინა 27, პირადი #57001012113) ხელმოწერის ნამდვილობას წინამდებარე თარგმანზე ინგლისურიდან ქართულ ენაზე. მთარგმნელმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი AA#000101, გაც. 2006წ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სარეგისტრაციო #335. მთარგმნელი ჩემს მიერ გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მთარგმნელმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ თარგმანი ზუსტია და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი, რასაც ვამოწმებ.

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის: 2.00 ლარი, ან წახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა;

Fee for fulfillment of notary service: 2.00 GEL, according to the article 31st of the Decree No.507 of the Government of Georgia of December 29th, 2011, also 2 (two) GEL including VAT – fee for registration in the electronic notary register, according to the article 39th of the Decree No.507 of the Government of Georgia of December 29th, 2011.

ნოტარიუსი
Notary



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

თვინძურ

64 (სამართლის /
მეცნიერება)

მეცნიერება

